



საქართველოს ქორეოგრაფია

ბამონის 1992 წლის იანვრიდან

№2 (42-43),

აპრილი-მაისი, 2013 წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

C
M
Y
K

**სულიდან
ამოსული
ხელოვნება**
გვ.12



გვ.6

*ვითო კვირ ადგილობის
შეწყობისათვის დიდიხარისაა!*

**ქალაქ
აღსტა!**



გვ.13

**საქორწინო
რიტუალი ძველ
საქართველოში**

**ქორეოლოგია, როგორც
სამეცნიერო დისციპლინა და მისი
ადგილი სახელოვნებათმცოდნეო
მეცნიერებათა სისტემაში**

გვ.4-5
2013 წლის
7 აპრილს
ქ. რუსთავის
კულტურის
სასახლეში
ჩატარებული
ფანჯივალი



გვ.3



**გავუმთა სანიშნო
სახლსო
ქორეოგრაფიული
ანსამბლები**
გვ.2

**დავიხვავთ ქართული ხალხური ხეკვების სინემაღა და ვიზრუნოთ
საბავშვო ქორეოგრაფიული რეპერტუარის შექმნაზე** გვ.7

**საქართველოს ქორეოგრაფიის
მოღვაწეთა შემოქმედებითი
კავშირი –
განვლილი ორი წელი**
გვ.8-9



გვ.10-11

**ქორეოგრაფი სოლნით ფანჯა,
მოსეკვანე - შესრულების ოსტატობით**

**11 ოგნოსი
საქართველოს
ქორეოგრაფიის დღეა!**



2013 წლის 13-14 აპრილს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით ჩატარდა „სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული კოლექტივის“ ნოდების მქონე და ამავე ნოდებში წარდგენილ კანდიდატთა დათვალიერება-ფესტივალი.

ჩატარებულმა ღონისძიებამ აჩვენა, რომ საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, ძირითადად სწორი გზით მიემართება.

საჩვენებელ ანსამბლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან თავისი საქმის პროფესიონალი ქორეოგრაფები, რომელთა კვლადკვალ დიდ და სერიოზულ მუშაობას ატარებენ ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები.

დარწმუნებულნი ვართ, მოკლე ხანში აღნიშნული ანსამბლებიერ სულ მალე მოიპოვებენ საჩვენებელი, სახალხო ანსამბლების ნოდებს.

ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობამ წარმატებული ანსამბლები და მათი ხელმძღვანელები დააჯილდოვა სპერიალური დიპლომებით, მედლებითა და ორდენებით.



11 ივნისი საქართველოს ქორეოგრაფიის დღე!
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირი ულოცავს ამ დღისშესანიშნავ თარიღს
ყველა ქორეოგრაფს და ქართველს ცხელი მთაბაგის



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი № 15 01/04/ 2013 წ.

ლაუზი (რეზო) ჭანიშვილის საქართველოს ქორეოგრაფიის
ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული და სამეცნიერო-თეორიული მოღვაწეობისათვის, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

კავშირის თავმჯდომარის მოადგილე - /ო.ალავიძე/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი № 5 01/04/ 2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“
დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიულ ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“ დაჯილდოვდებიან:

- 1 **ალექსანდრე ქართველიშვილი** ქ. თბილისი N39-ე საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მინდიას“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი;
- 2 **ნინო ტურიაშვილი** მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფერხულის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი;
- 3 **ტარიელ გოგობერიშვილი** შპს „ლეგო ჯორჯიას“ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაშარის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი;
- 4 **თამარ მელიქიშვილი** ქ. თბილისის N207-ე საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლომისის“ ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი.
- 5 **რევაზ ნაჭყებია** საქართველოს ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლ „სუხიშვილების“ მუსიკოს-აკომპანიატორი.

კავშირის თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



2013 წლის 7 აპრილს ქ. რუსთავის კულტურის სასახლეში გაიმართა რუსთავისა და ქვემო ქართლის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მომუშავე საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალი, დევიზით: „კიდევაც დაიზრდებიან“. ფესტივალში მონაწილე კოლექტივების საერთო რაოდენობა და მათ მიერ შესრულებული საცეკვაო ნომრების ჩამონათვალი ორ ათეულს აჭარბებდა. ბუნებრივია, ყველა ანსამბლის მომზადების დონე ერთნაირი არ არის, მაგრამ ეს ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემაა. მთავარია, რომ პედაგოგ-ქორეოგრაფები თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს გასცემენ, რათა ჩვენი ახალგაზრდობა გაიზარდოს და აღიზარდოს როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად ჯანმრთელი, ეროვნული ენერჯით დამუხტული თაობა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობამ. მათ შესაბამისი დიპლომებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს ანსამბლების ხელმძღვანელები და წევრები.

2013 წლის 7 აპრილს ქ. რუსთავის კულტურის სასახლეში გაიმართა რუსთავისა და ქვემო ქართლის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მომუშავე საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალი, დევიზით: „კიდევაც დაიზრდებიან“. ფესტივალში მონაწილე კოლექტივების საერთო რაოდენობა და მათ მიერ შესრულებული საცეკვაო ნომრების ჩამონათვალი ორ ათეულს აჭარბებდა. ბუნებრივია, ყველა ანსამბლის მომზადების დონე ერთნაირი არ არის, მაგრამ ეს ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემაა. მთავარია, რომ პედაგოგ-ქორეოგრაფები თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს გასცემენ, რათა ჩვენი ახალგაზრდობა გაიზარდოს და აღიზარდოს როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად ჯანმრთელი, ეროვნული ენერჯით დამუხტული თაობა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობამ. მათ შესაბამისი დიპლომებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს ანსამბლების ხელმძღვანელები და წევრები.



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის განხილვა

ახალს, ალბათ, ვერაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ქართული ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა კი ცეკვა და სიმღერა, თავიდანვე გარკვეულ საფეხიკო ბარათს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სხვა ქვეყნების ხალხებთან ჩვენი ურთიერთობის პროცესში.

ფაქტია ისიც, რომ ქართველთა წარსული, დღევანდელი და ხვალისდელი ყოფა, ბუნებრივია, მხოლოდ ფოლკლორის იმედად არასოდეს დარჩენილა, მაგრამ არც იმ როლის დაკნინება იქნებოდა მართებული, რაც ამ მიმართულებით დღემდე გაკეთდა და, იმედია, მომავალშიც გაკეთდება.

უკანასკნელ ხანს მასობრივ საინფორმაციო სივრცეში, პოლიტიკურ დისკუსიებსა და, განსაკუთრებით, ე.წ. სოციალურ ქსელებში მწვავე განხილვის საგანი გახდა მეზობელი რუსეთის რამდენიმე დიდ ქალაქში ჩვენი სახელოვანი ანსამბლების „ერისიონის“, „რუსთავისა“ და „სუხიშვილების“ (ჩვენება სწორედ ამ თანმიმდევრობით განხორციელდა) საგასტროლო-საკონცერტო გამოსვლების საკითხი. გამოითქვა უამრავი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი, რომელთა შორისაც უმეტესობა თავისი შინაარსით იყო გადაჭარბებული და, სამწუხაროდ, ღვარძლიანი კრიტიკული ტონით გაჯერებული.

ჩვენ, ბუნებრივია, კარგად გვესმის საკითხის სიმწვავე, მისი დელიკატურობა და სირთულე, თუმცა იმასაც კარგად ვაცნობიერებთ, რომ დღეს საქართველოს არ აქვს იმგვარი ფუფუნება უარი თქვას რომელიმე საშუალების გამოყენებაზე, რითაც ნათლად წარმოჩინდება, რომ ერი ფეხზე დგას, აგრძელებს ამაყ სიცოცხლეს, მარტო წარსულით არ ცხოვრობს და ხვალისდელი დღის იმედით გარკვეულ კულტურულ „აგრესიასაც“ კი ახორციელებს.

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ მეზობლებს არ ირჩევნ. დიდი და მცირე სამეზობლო ის პოლიტიკურ-კულტურული მოცემულობაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ძერწავს ერების მენტალიტეტს, მის ცოდნა-გამოცდილებასა და ქცევის ფსიქო-სოციალური მოდელების ნახნაგებს. აქ ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველაფერს თავისი წონა და ღირებულება გააჩნია. აღნიშნულ სფეროში წარმომობილი სირთულეების დალაგებაში ხელოვნებას უდიდესი მისიის შესრულება შეუძლია და მასზე უარის თქმა მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ კონტექსტში სწორად უნდა იქნას განხილული ჩვენი სახელოვანი ანსამბლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები, რომელთა წონა და მნიშვნელობა სამომავლოდ უთუოდ პოზიტიურ შედეგებს მოიტანს.

გვჯერა უკეთესი მომავლისა და დროისა, რომლის დადგომა, ჩვენი ღრმა რწმენით, შორს არ უნდა იყოს!


ოზარ მხეიძისადმი მიძღვნილი ფესტივალი

დუშეთის საკრებულოს (თავმჯდომარე ქალბატონი ცარო საძაგლიშვილი), და მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის (ხელმძღვანელი მაია სავაძე) თაოსნობითა და მხარდაჭერით 2013 წლის 6 აპრილს, დაბა ჟინვალის კულტურის სახლში, გაიმართა რაიონის სასწავლო-აღმზრდელობით და კულტურის სახლებთან მომუშავე საბავშვო ქორეოგრაფიული კოლექტივების დათვალიერება. ფესტივალი ცნობილ ქართველ მოცეკვავეს, საზოგადოებისათვის გამორჩეულად პატივსაცემ პიროვნებას, ბატონ **ოზარ მხეიძეს** მიეძღვნა. მასში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობა (კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი **რეზო ჭანიშვილი**, თავმჯდომარის მოადგილე მეცნიერების დოქტორი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი **ოლეგ ალავიძე**, კავშირის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე **კახაბერ მარკოშვილი**). ფესტივალმა აჩვენა, რომ დუშეთის რაიონის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მომუშავე ქორეოგრაფები ძალ-ლონესა და ენერჯიას არ იშურებენ მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდისა და მათში ეროვნული კულტურული ფასეულობებისადმი პატივისცემის გაღვივებისათვის. ფესტივალში მონაწილე ანსამბლები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ბატონ **ოზარ მხეიძის** გამოსახულებიანი სპეციალური პრიზებით.



ქორეოლოგია

**ქორეოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა და მისი ადგილი
სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებათა სისტემაში**



მეცნიერული აზრის წარმოშობა-განვითარებისა და ცალკეულ მიმართულებებზე მისი დიფერენციაციის პროცესის განმაპირობებელ მიზეზებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ჯერ უნდა არსებობდეს კვლევის საგანი (ფაქტი), ე.წ. კვლევის ობიექტი მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მას მომდევნო ეტაპზე აუცილებლად მიაგნებს, „აღმოაჩინს“ მისივე შემსწავლელი მეცნიერების დარგი.

ამგვარ მიგნება-აღმოჩენას პირველ ეტაპზე შესატყვისი მეცნიერული მიმართულების ჯერ გაჩენა, მერე კი თანდათანობით გართულება-განვითარება მოჰყვება. ეს პროცესი ლოგიკურად მიდის მეცნიერების გარკვეული სფეროს საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე, თუმცა საქმე ამით არ სრულდება, რადგან ძალიან ხშირად ცვლილებები დიფერენციაციის მიმართულებით ამიერიდან უკვე ახლახან ჩამოყალიბებული მეცნიერების დარგის შიგნით იწყება და ასპარეზზე შესაბამისი ქვედარგები გამოდის. აღნიშნული კანონზომიერება, როგორც განმსაზღვრელი ძალის მქონე ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპი, თავს იჩენს და საცნაურდება ყველგან, მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეობის სფეროშიც.

მეცნიერული აზროვნების განვითარების სადღესო დონეზე ხელოვნებათმცოდნეობა კარგად სტრუქტურირებული-ჩამოყალიბებული, მეთოდოლოგიურად დაფუძნებული და აქტიურად განვითარებადი ცოდნის სფეროა.

თავისი ყველაზე ზოგადი გაგების ფარგლებში „ხელოვნებათმცოდნეობა“ არის დარგი ჰუმანიტარული ან კიდევ საზოგადოებრივი მეცნიერებების წრიდან, რომელიც საკუთარ სტრუქტურაში აერთიანებს ქვედარგებსა და მიმართულებებს. მათი თავმოყრით იქმნება ცოდნა, აზრი თუ სწავლება ხელოვნების ისტორიის თეორიისა და მისი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

ხელოვნებათმცოდნეობა სწავლობს ადამიანის მიერ შექმნილ მხატვრულ კულტურას და მის ცალკეულ გამოვლინებებს, რომელიც დაგროვილია ე.წ. არტიფაქტების სახით.

ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი მასში

შემავალი ცალკეული სახეებისათვის, ადგენს ხელოვნების თითოეული დარგის სპეციფიკას, მიუთითებს სინამდვილის მოვლენებისადმი ხელოვნის დამოკიდებულების თავისებურებებზე, არკვევს მხატვრული ნაწარმოების ფორმასა და შინაარსს შორის არსებული კავშირის ხასიათს, უთითებს ხელოვნების განვითარების კანონზომიერებებზე და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ სადღესოდ ხელოვნების ყველა, აქამდე ცნობილ დარგს თავისი შემსწავლელი მეცნიერება ემსახურება, ხელოვნებათმცოდნეობაც, შესაბამისად, შედგება რამდენიმე ქვედარგისაგან. მათ შორისაა: ლიტერატურათმცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა....

ერთგვარ სირთულეს აღნიშნულ სისტემაში ქმნის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებანი, ასევე არქიტექტურის ხელოვნება.

პრობლემის არსი აქ იმაშია, რომ თავის დროზე ხელოვნებათმცოდნეობა წარმოიშვა და განვითარდა, როგორც დარგი მეცნიერული ცოდნისა, რომლის უშუალო მიზანსაც სახვითი ხელოვნების, არქიტექტურისა და დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების შესწავლა წარმოადგენდა. აღნიშნული თვალსაზრისი თუ მიდგომა იმდენად მყარი და საფუძვლიანი გამოდგა, რომ დღესაც კი, მეცნიერული ცოდნის მკაცრი დიფერენციაციის ეპოქაში, ძალიან ბევრი სპეციალისტი ხელოვნებათმცოდნეობის ცნებას ძველი შინაარსით იყენებს. ყოველივე ამან წარმოშვა ვითარება, როდესაც ტერმინი „ხელოვნებათმცოდნეობა“ რეალურად გამოიყენება ორი მნიშვნელობით. პირველი მათგანი ფართო, გვარეობითი შინაარსის მქონეა და მოიცავს ხელოვნების შესახებ ყოველგვარ ცოდნას (თეორია, ისტორია, კრიტიკა) მეორე მნიშვნელობა კი, როგორც ზემოთ ითქვა, უფრო ვიწრო არეალზე ვრცელდება და სახვით, გამოყენებით და არქიტექტურულ ხელოვნებათა ცოდნას გულისხმობს.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ ცნების გამოყენების ამგვარი დუალიზმი გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ზოგადად გაგებული ხელოვნებათმცოდნეობა სხვა თვისებრივი ამოცანების გადასაწყვეტად არის მონოდებული, განსხვავებით იმ შემთხვევისა, როდესაც შესწავლის მიზნით ხელოვნების რომელიმე სფეროს, მოცემულ შემთხვევაში, თუნდაც, სახვითი ხელოვნების თეორია და ისტორია აქვს გადაქცეული. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა მოვლენები გარკვეულ დიალექტიკურ მიმართულებაში დაგვეჩვენა და გავვეთვალისწინებინა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს ზოგადსა და კერძო მოვლენას შორის. აქ პირველს, ანუ ზოგადს (ჩვენს შემთხვევაში ზოგად ხელოვნებათმცოდნეობას) მაორიენტირებელი, მეთ-

ოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგი ადგენს ძირითად დებულებებს და მიმართულებას უსახავს თუ უსაზღვრავს ცოდნის კერძო სფეროს.

ხელოვნებათმცოდნეობის ვრცელ სპექტრში ცოდნის შედარებით ახალ მიმართულებას ქმნის ცეკვის თეორიის, მისი ისტორიისა და კრიტიკის კანონზომიერებათა შემსწავლელ-მაორგანიზებელი სფერო ქორეოლოგია. ეს უკანასკნელი ხელოვნებათმცოდნეობის დარგებს შორის შედარებით გვიან გამოჩნდა (მანამდე აღნიშნულ სფეროს თეატრმცოდნეობა, ან კიდევ მუსიკათმცოდნეობა ემსახურებოდა) და ამიტომაც იგი, გარკვეულწილად, „ახალგაზრდა მეცნიერებად“ უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ კი ქორეოლოგიის, როგორც სამეცნიერო-თეორიული პროფილის მქონე დისციპლინის მიმართ, თამამად შეიძლება გამოგვეყენებინა ცნობილი მკვლევარის ჰერმან ებნჰაუზის მიერ ფსიქოლოგიის მეცნიერების მიმართ ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს წარმოთქმული ფრაზა, რომელიც ასე უღერდა: „ფსიქოლოგიას ხანმოკლე ისტორია, თუმცა ხანგრძლივი წარსული აქვს“. საკმარისია მოტანილ ხატოვან ფრაზაში მცირედი ცვლილება შევიტანოთ, „ფსიქოლოგიის“ ადგილზე „ქორეოლოგია“ დავსვათ და ყველაფერი ზედმინვენით ნათელი გახდება. ზემოთ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ქორეოლოგია, არსებითად XX ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა დამოკიდებული სახის მქონე სამეცნიერო დისციპლინად, თუმცა ეს პროცესი დღემდე საბოლოოდ დასრულებული არ არის და ძალიან ბევრი მეთოდოლოგიური მნიშვნელობის მქონე პრინციპული კითხვა პასუხგასაცემია.

რაც შეეხება იმ დებულებას, რომ ქორეოლოგიურ ცოდნას ხანგრძლივი ისტორია თუ წარსული აქვს, ესეც სრული სიმართლეა, რადგან ცეკვის შესახებ მსჯელობებს, ჯერ კიდევ უძველესი დროის ისტორიკოსების, ფილოსოფოსებისა და ლიტერატორთა ჩანაწერებში ვხვდებით. აღნიშნულ მომენტს აქვს თავისი დასაბუთება და გამართლება, იმდენად რამდენადაც ცეკვით გაცხადებული თეატრალური სანყისების გარეშე წარმოუდგენელიც კი იქნებოდა მითოსურ წარმოდგენათა სამყაროში ადამიანის დამკვიდრება, ხალხური საკარნავალო კულტურის ელემენტების გათავისება, რელიგიურ-რიტუალური სახილველის ყოველდღიური ცხოვრებისეული ყოფის აუცილებელ შემადგენელ ელემენტად ქცევა და ა.შ.

როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნული გარემოებები და სხვა მათი მსგავსი ფაქტორები განაპირობებდნენ ცეკვის ხელოვნებით უძველესი ეპოქების მოაზროვნეთა დაინტერესებას, რომელსაც უკვე ახალ დროში სულ სხვა სახე ეძლევა და პროცესიც სამეცნიერო მიმართულების შექმნით დაგვირგვინდება. დღევანდელი გადასახედიდან იოლი შესაძლებელია, რომ ხელოვნებათმცოდნეობამ მის სტრუქტურაში შემავალ დარგებთან

ერთად განვითარების საკმაოდ სერიოზული გზა და ეტაპები გამოიარა. შექმნილი და გამოცემულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ძალიან დიდი ჩამონათვალი, რომელიც კარგად აჩვენებს ზემოაღნიშნული გზებისა თუ ეტაპების სირთულეებს და იმასაც ადასტურებს, რომ პროცესის დასრულებაზე საუბარი ნაადრევია. ადამიანი და მისი შემოქმედებითი პრაქტიკა განუწყვეტილად იცვლება, მოძრაობს და ვითარდება. ჩნდება ახალ-ახალი სახელოვნებო მიმართულებები, იცვლება შეხედულებები, ზუსტდება პოზიციები და ყალიბდება შესაბამისი კონცეპტუალური თვალსაზრისები.

ცვლილებათა ეს პროცესი ეხება ქორეოგრაფიის ხელოვნებას, რომელმაც პრაქტიკული განვითარების თვალსაზრისით სერიოზულ სასიმალო ნიშნულს მიაღწია. ამ მხრივ გამოჩნდის არც ქართული რეალობა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით აღნიშნული პროცესების მეცნიერული გააზრების პრაქტიკასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიული შესწავლის ტრადიციები ჩვენში ჯერ მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაშია, უფრო მეტიც, ფიგურალურად თუ ვიტყვით, ცალი ხელის თითებიც კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმ ავტორთა გვარების ჩამოსათვლელად, რომელთაც ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში თავისი მეტ-ნაკლებად წონადი სიტყვა თქვეს. რაც შეეხება ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიას, აქ სამწუხაროდ, ჩამოსათვლელიც არაფერია, რადგან მისი სისტემური შესწავლა ჩვენში არც არავის უცდია. იქნებ არც იყოს საჭირო? – გაიფიქრებს მკითხველი. ვერ დავეთანხმები, რადგან შეუძლებელია ხელოვნების რომელიმე დარგი არსებობდეს და სწორად ვითარდებოდეს, თუკი სპეციალისტებს ბოლომდე გააზრებული არ აქვთ, რასთან გვაქვს საქმე, რა ფუნქციას ასრულებს ხელოვნების ეს დარგი, რა სახეობრივ სამყაროს ფლობს და როგორი მეთოდებით ზემოქმედებს მსმენელსა თუ მაყურებელზე.

ქორეოლოგიას ხელოვნებათმცოდნეობითი მეცნიერების სხვა დარგების მსგავსად ცოდნის სამი დონის სტრუქტურული ელემენტი გააჩნია. ესენია: ცეკვის თეორია, ცეკვის ისტორია და კრიტიკა. აღნიშნული დონეები სხვაგვარ შესატყვისობებშიც შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ: ტერმინ „ცეკვის თეორია“ სინონიმებად შეიძლება გამოვიყენოთ „ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორია“ და „საცეკვაო ხელოვნების თეორია“ ასეთი ლოგიკით ტერმინ „ცეკვის ისტორიას“ შესატყვისება „ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია“ და „საცეკვაო ხელოვნების ისტორია“. ხოლო „ცეკვის კრიტიკის“ პარალელურად შეიძლება გამოყენებულ იქნას „ქორეოგრაფიული ხელოვნების კრიტიკა“ და „საცეკვაო ხელოვნების კრიტიკა“. მოკლედ შევეხოთ თითოეულ

მათგანს და ხელოვნებათმცოდნეობაში გავრცელებული ტრადიციების მიხედვით მკაცრად შემოვსაზღვროთ ამ მიმართულებათა ჩარჩოები.

ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორია სწავლობს ცეკვის, საცეკვაო ხელოვნების არსს, კანონზომიერებებს, მასში მოქმედ შინაგან წეს-კანონებს, გარკვეული სახით გამოხატულ, ისტორიულად მყარ (უცვლელი, საყოველთაო ხასიათის მატარებელი) ნიშნებს. თეორია ადგენს საცეკვაო ხელოვნების სპეციფიკას, ხელოვნების სხვა დარგებთან მისი კავშირისა და მათგან გამორჩეულობის ლოგიკას. აქედან გამომდინარე, მას არ აინტერესებს ცალკეული ეპოქების მიხედვით ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში ამა თუ იმ ერის, ცალკეული ქვეყნების ან კიდევ თვით ყველაზე გამორჩენილ ხელოვნებათა შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი. ეს ყველაფერი ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიისათვის არის მასალა, რომელზე დაყრდნობითა და გათვალისწინებითაც იგი არკვევს იმ საერთო, ტიპოლოგიური დაცვისთვისა თუ შინაარსის მქონე მახასიათებლებს, ადგენს კანონებს, რომლებიც მოქმედებენ ყველა ხალხში, ყველა დროსა და სივრცეში და განსაზღვრავენ კიდევაც საცეკვაო ხელოვნების ნიმუშთა ხასიათს. თუ ყველაფერს იმას, რაც ზემოთ ითქვა, კიდევ უფრო დავაზუსტებთ და ჩამოქნილ სახეს მივცემთ, აღმოჩნდება, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორია პასუხს გვაძლევს კითხვებზე:

- რა არის ცეკვა (ქორეოგრაფია) როგორც ხელოვნების დარგი;
- რა ნიშან-თვისებებები ახასიათებს მას;
- რომელი სახეებისაგან, ქვესახეებისაგან, მიმართულებებისაგან, უანრებისაგან შედგება საცეკვაო ხელოვნება;
- რა კანონზომიერებები და კომპონენტები გამოარჩევს ხელოვნების ამ დარგის განვითარების პროცესს;
- რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან საცეკვაო ხელოვნების სახეები, რა სპეციფიკური და საერთო კომპონენტებისაგან შედგება ცალკეულ სახეებში თუ უანრებში შექმნილი ნაწარმოებები;
- რა მსგავსება-განსხვავებები არსებობს ცეკვის ავთენტურ-ხალხურ, სასცენოდ საჩვენებელ, ასევე კლასიკური ქორეოგრაფიული ხელოვნების, სპორტულ-სამეჯლისო კატეგორიას მიკუთვნებულ ნიმუშებს შორის;
- რას ნიშნავს ავთენტური, ფოლკლორული საცეკვაო ნიმუშების სასცენოდ დამუშავება. სად მთავრდება ფოლკლორული ცეკვა და როდის გადადის იგი სხვა თვისებრივ მდგომარეობაში;
- რა შინაგანი, ობიექტური კანონზომიერებები განაპირობებდა საცეკვაო ხელოვნებას, როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა და ან კიდევ სამომავლო პერსპექტივები...
- ვინ არის ქორეოგრაფი, ქორეოგრაფ-რეჟისორი, ქორეოგრაფ-რეპეტიტორი და ა.შ.;
- ვინ არის მოცეკვავე, მოცეკვავე-მსახიობი...

ოხსატება საცეკვაო ხელოვნების განვითარებული, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პოტენციალი.

ექვსეგარეშეა, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორია თავისი სრულყოფილი სახით მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება, როდესაც მას პასუხი ექნება ყველა აქ ჩამოთვლილ (და სხვა) საკითხებზე, როდესაც აღნიშნული მასალა ერთ მთლიანობაში სისტემურად იქნება წარმოდგენილი და გააზრებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება იგი მაორიენტებელი და მეთოდოლოგიური მნიშვნელობის მქონე მოვლენა, რომლის მიხედვითაც მოხდება საკუთრივ შემოქმედებითი პრაქტიკის თავისებურებებში გარკვევა და მისთვის სათანადო გზების მიცემა.

ამასთან თუ საკითხს კიდევ უფრო ჩავუღრმავებთ და მის ბოლომდე დაზუსტებას მოვიწოდებთ, ადვილად აღმოვაჩინებთ, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორია შეიძლება ორ ძირითად ნაწილად გაიყოს. პირველი მათგანი ადგენს საცეკვაო ხელოვნების არსს, მის ყველაზე ზოგად კანონზომიერებებს, მეორე კი ცალკეული საცეკვაო ნიმუშების თავისებურებებსა და ხასიათზე, რაობაზე მიუთითებს. პირველმა უნდა აგვიხსნას, თუ რა არის ცეკვა შემოქმედებითი თვალსაზრისით, როგორია მისი განვითარების ლოგიკა, რა მეთოდებს იყენებს, რა სტილური ნიუანსებით გამოირჩევა, როგორ აგუებს ერთმანეთთან კოლექტივიზმისა და ინდივიდუალური შემოქმედებითი საქმიანობის ნიშნებს, რა როლს ასრულებს საზოგადოებრივ-კულტურულ ყოფაში, როგორ იქმნება ცეკვა ხალხის, ქორეოგრაფის, საკუთრივ მოცეკვავეის მიერ და ა.შ.

თეორიის მეორე ნაწილი კი შეისწავლის საცეკვაო ხელოვნების დარგებს, სახეებს, უანრებს, მათ ტიპოლოგიურ თავისებურებებს, ცალკეული ნიმუშების სტრუქტურას, მხატვრული გამოსახვის ხერხებს, ქორეოგრაფთა და ცალკეულ მოცეკვავეთა ოსტატობის დამახასიათებელ ნიშნებს, ტანთარსტატიკისა და მხატვრულ-მუსიკალური თანხლების ნიუანსებს და სხვა მსგავს საკითხებს. აღნიშნული პრობლემატიკის შესწავლისას ეს მეორე მიმართულება ეყრდნობა და ითვალისწინებს პირველს, ანუ ზოგად-თეორიული ნაწილის მიერ შემუშავებულ დებულებებს, პრინციპებს, დასკვნებს.

შედარების განსხვავებულ ამოცანებს წყვეტს ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია. იგი შეისწავლის ცეკვის წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ პროცესს, ეპოქისა და ხალხის მიერ შექმნილი ეროვნული საცეკვაო ლექსიკის ფორმებს, ხასიათის დროში დენად არსსა და ნიშან-თვისებურებებს, ცალკეულ ოსტატთა შემოქმედებით მიღწევებს...

ისტორია ადგენს, თუ განვითარების რა გზა გამოიარა საცეკვაო ხელოვნებამ პირველადი პანტომიმური მოძრაობების ჩასახვიდან თანამედროვე საბალეტო, სამეჯლისო, სპორტულ-სახასიათო ცეკვისა თუ საცეკვაო დივერცისმენტის და მის ულტრათანამედროვე გამოვლინებების გაჩენა-ჩამოყალიბებამდე.

კონკრეტულ ისტორიულ პროცესში,

ცალკეულ ეპოქაში ამგვარ გამოვლინებათა ცალკეულ ნიმუშებზე დაკვირვებით, ანალიზითა და მიღებული შედეგების განზოგადებით ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია, ცხადია, ეყრდნობა თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და თანაც, თავის მხრივ, საფუძველს უმზადებს მიგნებებს, თეორიულ დასკვნებს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ზოგადი თვალსაზრისი, რომელთა მართებულობასაც სწორედ ისტორიული მასალის ხასიათი ადასტურებს.

რაც შეეხება ქორეოლოგიური ცოდნის მესამე შემადგენელ ნაწილს მხატვრულ კრიტიკას, იგი დარგის თეორიისა და ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით კვალში უდგას საცეკვაო ხელოვნებაში მიმდინარე ცოცხალ პროცესებს. კრიტიკა ახდენს არსებული რეალობის შეფასებას, განიხილავს და აანალიზებს ცალკეულ შემოქმედთა, ქორეოგრაფიული კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა მიღწევებს, წარმოაჩენს მათ ღირსებასა და ნაკლს. ქორეოგრაფიული ხელოვნების კრიტიკა უთითებს ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთობის ხასიათზე, ცალკეულ შემოქმედ პიროვნებებს ხშირად მიანიშნებს „ზომის“ ესთეტიკური კატეგორიის მოთხოვნების დაცვის აუცილებლობაზე, მიუთითებს საფრთხეებზე, აღნიშნავს მიგნებებს, გამიჯნავს გემოვნების მალა და საკამათო დონეებს, მიუთითებს ნაკლზე და მისი დაძლევის გზებზე, ეხმარება საზოგადოების დანტერესებულ ნაწილს გაერკვეს შემოქმედებითი პროცესების სირთულეებში, ხელს უწყობს მაღალი დონის ქორეოგრაფიული კულტურის ფორმირებას და პროგრესისაკენ სვლის ტენდენციებს.

ქორეოგრაფიული კრიტიკის ჩამორჩენის, განსაკუთრებით კი მისი არარსებობის შემთხვევაში ხშირად, მთელი შემოქმედებითი პრაქტიკა გადადის სტაგნაციის მდგომარეობაში და ვეღარ პოულობს განვითარების ნამდვილ გზას. ასეთ დროს პრაქტიკოსი მუშაკები იძულებულნი ხდებიან არგუმენტად მოიყვანონ რაოდენობრივი მაჩვენებლები (რამდენი ადამიანი ჩაბმული საქმიანობის ამ სფეროში), კონცერტების გამართვის სიხშირე, სამოგზაუროდ წასვლის ამბები, მაყურებელთა რაოდენობა და ა.შ. ეს ყველაფერი, ცხადია, კარგია, მაგრამ იგი არ მიუთითებს შემოქმედებითი პრაქტიკის რეალურ წინსვლაზე. თვით ქორეოგრაფიული კულტურის ამალღებაზე, შემოქმედებით მიგნებებსა და შესაბამისად, განვითარების სწორი გზის არსებობაზე. დასასრულს, ისევ იმ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ესაა, საერთოდ, ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერების სისტემაში ქორეოლოგიური ცოდნისათვის ადგილის მიჩენის საკითხი. ექვსეგარეშეა, რომ აქ საქმე გვაქვს მთელისა და მისი შემადგენელი ნაწილის ურთიერთობის პრობლემასთან, რომელიც განსაკუთრებული სისავსით თავს სწორედ თეორიის სფეროში იჩენს.

ხელოვნების ზოგადი თეორია, როგორც ცნობილია, სწავლობს ხელოვნების საერთო კანონზომიერებებს,

მისი შემადგენელი დარგების თავისებურებებს, ადგენს მათ შორის არსებულ ტიპოლოგიურ მიმამსგავსებელ და განმასხვავებელ ნიშნებს. ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიის საგანი და ძირითადი მიმართების ობიექტი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, არის საკუთრივ ცეკვის ხელოვნების კანონზომიერებები. ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნების ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენის კონკრეტული, კერძო შემთხვევა. იგი მხოლოდ ცეკვის ხელოვნებას ახასიათებს, თუმცა გარკვეულ პარალელებს პოულობს ხელოვნების სხვა სახეებთან, ვთქვათ თეატრალურ, სასცენო მოქმედებებთან.

საცეკვაო ხელოვნების სპეციფიკური საშენი მასალა, მისი პირველენმენტი არის ქორეოპლასტიკა, დროის გრძობებში ჩასმული, ტემპო-რიტმს დამორჩილებული, ხშირად მუსიკალური თანხლებით ხაზგასმული გამომსახველი მოძრაობები, რომელთა აღსაქმელად საჭიროა ადამიანური გრძობის ისეთი უნარები, როგორცაა: ხედვა ანუ ვიზუალური აღქმა, სმენის სიმახვილეთა რიტმის შეგრძნება, სივრცეში ორიენტირება და წარმოსახვა. ამ და სხვა მსგავს საკითხთა შესახებ ქორეოლოგიის მეცნიერება მასალას მარტო ზოგადი ხელოვნებათმცოდნეობიდან როდი იღებს. აგრეთვე ესაჭიროება ესთეტიკის, ანთროპოლოგიის, ზოგადი და ხელოვნების ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პედაგოგიკისა და სხვა ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინება. ქორეოლოგიისათვის ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია ხელოვნების ზოგადი თეორიის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული საკითხის სინამდვილის საგან-მოვლენებისადმი შემოქმედებითი პრაქტიკის მიმართულების თავისებურებებში გარკვევა და მერე მისი გათვალისწინება. სხვანაირად ძნელი გახდება იმის გარკვევა, რა არის ცეკვა როგორც ხელოვნების სინამდვილის მოვლენებისადმი მიბაძვა და არსებულ მიზეზ-შედეგობრივი რეალობების გათვალისწინება-განზოგადება, თუ ადამიანის სულიერების, მისი სუბიექტური წარმოსახვების, გრძობების, განცდების პლასტიკის ენაზე გარდასახვა და მერე მისი გარეთ გამოტანა, იქნებ ცეკვა ერთიცაა და მეორეც, რადგან თვითონ ადამიანი, მისი ფიზიკური არსება, შემეცნება, გრძობათა სამყარო და წარმოსახვები ხომ იმთავითვე ბოძებული ბიოლოგიური და სულიერი საწყისების ერთობლიობაა, რომელიც თავის საბოლოო სახეს სოციო-კულტურულ გარემოში იძენს.

სწორედ ეს უკანასკნელი და მისი ნაირფეროვნება არის ქორეოგრაფიული ხელოვნების არსებობის, ასევე მისი შემდგომი წინსვლის აუცილებელი პირობა. ამ პროცესში კი თავის წონად სიტყვას ამბობს ქორეოლოგია, როგორც ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი დარგი, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, კვლევის მეთოდოლოგიითა და მეთოდით.

ოლეგ ალავიძე
პროფესორი

ქორეოლოგია

საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქორეოგრაფიის
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი
სალომე შეთაკაური

ქორეოლოგის ინსტიტუტმა და მასთან დაკავშირებულმა ნეს-ჩვეულებებმა განვითარების დიდი გზა განვლო და მისი სათავეები წარსულში უნდა ვეძიოთ. ყველასთვის ნათელია, რომ ამა თუ იმ ტრადიციის ჩამოყალიბება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან არის დაკავშირებული. უძველეს დროში ქორეოლოგის წესი მარტივი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს წესი შეიცვალა და რთულ საქორნილო რიტუალად გადაიქცა, რომლის შესრულებაც სავალდებულო გახდა.

ლილი გვარამაძე წერს, რომ საქართველოში არც ერთი სასიხარულო ამბავი, განსაკუთრებით კი ნიშნობა და ქორნილი, ისე არ ჩაივლიდა, რომ ცეკვა არ ყოფილიყო. შესწავლილი მასალებიდან კი ირკვევა, რომ ქორნილების რიტუალი საქართველოს ყველა კუთხეში განსხვავებული სახით სრულდებოდა, თუმცა ამის მიუხედავად გარკვეული მსგავსება მათ შორის იყო. რიტუალის რამდენიმე საფეხური გამოიყოფა: დაკვალვა-გარიგება, დანინდვა ანუ ნიშნობა, საპატარძლოსთან გამოთხოვება, ქორნილი და საპატარძლოს სამუშაოზე გაყვანა. ქორეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ქორნილი, მასში შემავალი რიტუალებით. თუმცა სანამ უშუალოდ ქორნილზე გადავიდოდეთ, მინდა, რამდენიმე სიტყვით განვიხილო ნიშნობის ორიგინალური ფორმები. ვაჟის მიერ

მიმდინარე წლის 29-30 აპრილს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტური ქორეოგრაფიული ფესტივალი „ტერფსიქორე“:

ფესტივალის პირველი დღე სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი მოხსენებების მოსმენას დაეთმო, მეორე დღე კი ასევე სტუდენტური ქორეოგრაფიული ანსამბლების (თსუ, სეუ, მასპინძელი უნივერსიტეტი) საკონცერტო გამოსვლებს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ღონისძიებით საფუძველი ჩაეყარა კარგ წამოწყებას, რომელიც, სამომავლოდ, აუცილებლად უნდა იქცეს ტრადიციულ სტუდენტურ დათვალიერებად.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე მოსმენილ წარმატებულ მოხსენებას.



მიერ აღწერილი ფერხული „ა ნიშანი, მოგვე ქალი“ ამ ტექსტთან ძალიან ახლოსაა. ორივე საქორნილო კომედიას წარმოადგენს, სადაც შესულია ცეკვა და სიმღერა. ქართლში ქორნილის მესამე დღეს, დილით ნეფე-პატარძლის მაყრები ეზოში ჩააბავდნენ „ბასტს“, რომელსაც „დედანი“ თავკაცი ხელმძღვანელობდა. მისი მითითება ცეკვის ყველა მონაწილეს უნდა შესრულებინა. შეუსრულებლობის შემთხვევაში ურჩ მონაწილეს ხეზე მიაბამდნენ (დ. ჯანელიძის აღწერილობიდან ჩანს, რომ „ბასტის“ მსგავსი იყო ასევე იალის თამაშობა).

სამცხე-ჯავახეთში ქორნილის პირველ დღეს, როცა პატარძალს მიიყვანდნენ ნეფის სახლში, ხალხი ეზოში ფერხულის ცეკვით ხვდებოდა. ამ დროს სრულდებოდა „შვიდი წყვილი ფერხული“ და მასში მონაწილეობდა შვიდი ცოლ-ქმარი ნეფე-დედოფლის ჩათვლით. ქორნილის მეორე დღეს მეფეს განადირებდნენ, ეს განადირებაც ფერხულით მთავრდებოდა, სამეგრელოში განადირებას „ეშაკათუას“ ეძახდნენ. განადირება იცოდნენ ქართლშიც, გურიაშიც, რაჭაში. ამავე საღამოს სამცხე-ჯავახეთში იცოდნენ სახუმარო ცეკვა „ძალღური“. მოგვიანებით ეს

საქორნილო რიტუალი ძველ საქართველოში

ქალისთვის გაგზავნილი სანიშნო ნივთები სიმბოლური მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო. მკვლევარნი გამოყოფენ ვაშლს, აჭარულ ფოლკლორში ამის ნიმუშსაც გვაქვს რაც ჩვენთვის კარგად ნაცნობია. სერგი მაკალათიას გადმოცემით კი სამეგრელოში, ქალის დანიშვნის მიზნით, ვაჟის მამა ან ბიძა ცეკვის დროს ქალს ქუდს ესროდა. უარის შემთხვევაში კი ქალს იტაცებდნენ. საინტერესოა აგრეთვე ხელის დაკვრით ნიშნობა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ხევსურეთში გვხვდებოდა.

ნიშნობის შემდგომ იყო საპატარძლოს გამოთხოვება. ეს რიტუალი ქორნილის წინა ღამეს უნდა შესრულებულიყო. სიმღერა-ფერხულებს დედოფლის ოთახში ქალები ასრულებდნენ. შემდეგი ეტაპი კი ქორნილი გახლდათ. ქორნილი იწყებოდა ჯვრისწერით, ჯვრისწერა კი კერის კულტთან იყო დაკავშირებული. როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, „კერის კულტი“ თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა მარადიული ცეცხლის სიმბოლოა. ნეფე-დედოფალს კერის გარშემო შემოატარებდნენ, დალოცავდნენ და გვირგვინს უკურთხებდნენ. კერის გარშემო შემოტარების რიტუალი თითქმის ყველგან სიმღერით სრულდებოდა, ოღონდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რეპერტუარი გვხვდება. (უნდა აღვნიშნო, რომ კერასთან ზიარების რიტუალი აფხაზეთში ქორნილიდან სამი

კერის შემდეგ ხდებოდა, საქართველოს სხვა კუთხეებში კი, როგორც ზემოთ ვახსენე, ამ რიტუალს იწყებოდა ქორნილი). სვანეთში მღეროდნენ „სადამს“, იმერეთში „ღმერთო, ბედნიერი ქენი“, აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში იცოდნენ: „ჯვარის წინასა“, „ჯორული“, „დიდება“. როგორც თინა იველაშვილი აღნიშნავს, სავარაუდოა, რომ იგი ფერხულითაც სრულდებოდა და ამის საფუძველს იძლევა ტექსტის საფერხულო წყობა და პოეტური რითმი.

კერის გარშემო შემოვლის რიტუალი სრულდებოდა როგორც ვაჟის, ასევე ქალის ოჯახშიც. ქალი ეთხოვებოდა თავის ოჯახს და ეს რთულ ცერემონიატან იყო დაკავშირებული. ამან განაპირობა მის ოჯახში თავყრილობა და ღვინის ღვინის ერთ-ერთი შემავალი ნაწილი კი ცეკვა და სიმღერაა. საქართველოს ყველა კუთხეში საქორნილო ნადიმზე ყოველ სადღეგრძელოს შესაბამისი ცეკვა-თამაში ახლდა. საღალბო სიმღერებიდან სამეგრელოში აღსანიშნავია „ჩარი-რამა“, რომელსაც საქართველოს სხვა კუთხეებშიც ვხვდებით განსხვავებული ვარიანტით. ზოგიერთი მკვლევარის გადმოცემით ქორნილში მისი შესრულებისას თან ცეკვავდნენ კიდევ. სვანეთში ქორნილში სრულდებოდა „ლილე“, „შინა ორგული“, „ბუბა ქაქუჩელა“ და სხვა. სამეგრელოში „ჩაგუნია, ჩაგუნა“.

საინტერესოა ასევე ქართლში ჩანერგილი „ჰაი და ქალებო“, გურული „ჰაი და ბიჭებო“ და „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“.

ტექსტების შესწავლის საფუძველზე ვიტყვი, რომ იგი საფერხულო ყოფილა. ზოგიერთი მათგანი ცეკვის დროს სრულდებოდა, ზოგი კი ცეკვის წინ. „ჰაი და ქალებო“ ქალების ფერხული ყოფილა, „ვისია ვისიას“ ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ ის მაყრების რეპერტუარიდან იყო, ჯერ სიმღერა სრულდებოდა და შემდეგ იწყებდნენ ცეკვას. მისი მსგავსია აგრეთვე ქართლში გავრცელებული და, სავარაუდოდ, ქორნილში შესასრულებელი ქალტაციობა. ბარბარე ჯორჯაძის „ფელეტონში“ ქალტაციობა და სამაია ერთმანეთს უკავშირდება.

„სოფელ ხევთა პირაში ხალხს თავი მოეყარა, ყველიერი იყო... კაცებს ფერხული ებათ და ქალები თამაშობდნენ. იქვე მჯდომმა ხანში შესულმა ქალმა დაუძახა მათ: მაგის თამაშობას სამაია დაბათ და ქალის მოტაცება ითამაშოთ არ გირჩევნიათ? თამარად თებრო დასვეს რომელსაც ახალი კაბა ეცვა. უკან ხანში შესული დედაკაცი მიუჯდა და გარშემო რამდენიმე ქალი დაუდგა. ოცამდე ქალმა კაბაზე ხელი მოჰკიდეს ერთმანეთს და თებროს სიმღერით გარს შემოუარეს“. სიმღერის ტექსტზე დაკვირვებით მივხვდებით, რომ მათ ქალის თხოვება უნდოდათ, ქალის პატრონი კი არ ატანდა. ბოლოს ქალები მისცივდნენ და ძალით მოიტაცეს. სწორედ ამგვარად აღგვინერს ავთანდილ თათარაძე ქალტაციობის ორ ეტაპს: ქალის გარიგებისა და დანიშვნის ცდა და ქალის მოტაცების ინსცენირება. აქვე უნდა აღინიშნოს რაფიელ ერისთავის

ცეკვა სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება „ლალიონი“, „ატუსი“. ამ ცეკვაში ათი-თორმეტი მამაკაცი ღებულობდა მონაწილეობას და რა ილეთსაც „მეთაური“ შეასრულებდა, ყველა მონაწილე ვალდებული იყო იგივე შეესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ზურგს მეთაურის შვინდის ნკებლა არ ასცდებოდა (სავარაუდოდ ეს ცეკვა „ოჰოი ნანოს“ მსგავსი უნდა ყოფილიყო).

რაჭის მოსახლეობაში ვაჟის სახლში ქორნილის დროს ფერხულის შესრულება სავალდებულო ყოფილა. ოცი-ოცდაათი კაცი ხელი-ხელ გადახვეულნი წრიულად უვლიდნენ და თან მღეროდნენ, ცეკვის დროს ორ ნაბიჯს წინ გადადგამდნენ და ერთს უკან. ცეკვის შეწყვეტა არ შეიძლებოდა და ცეკვას მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ.

საქორნილო ცერემონიალში დიდი ადგილი ეჭირა თეატრალიზებულ სანახაობას. ამის დასტურია ქორნილში ბერიკაობის შესრულების ტრადიცია. ბერიკაობის სახეს წარმოადგენს აჭარაში გავრცელებული რიტუალური ცეკვა „ფადიკო ქოჩე-გურა“, რომელიც ქორნილის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და სუფრის შემდეგ სრულდებოდა. „კაცს ჩააცმევდნენ კაბას და თავზე დაახურავდნენ თავშალს, თან სდევდა ვინმე ქურთი და სიყვარულს თამაშობდნენ. ხელში ჯოხი ეჭირა. ვინმეს რომ ცუდი ეთქვა ფადიკოსთვის, დაარტყამდა. ჰქონდა ასევე ხანჯალი, თუ გააბრაზებდა, ვითომ ფადიკოს თავს

ქორეოგრაფიული კვლევა

მოჭრიდა. თამაშობდნენ ყოლ-სარმას და ხალხს აცინებდნენ“.

ფადიკო ანუ ფათიკო ქალად გადაცმული ვაჟის მორთულობის აღმნიშვნელი იყო. ფადიკო-ქორეოგრაფიული ნარმოშობით განაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული. აჭარულ ქორნილში ვოკალური მუსიკის აკომპანიმენტზე სრულდებოდა ასევე ცეკვა „მაცურლისა“ და „სუფრული“, გადახვევის დროს „საცეკური“ „ნანიდანანი“ და „ოჰოი ნანა“. „ოჰოი ნანა“ არის მექორნილე ხალხის გამოსაფხიზლებელი მათარაბი. ის სუფრის წინ სრულდებოდა. სიტყვიერი ტექსტი ფერხულის შესრულების ქორეოგრაფიული ელემენტების ამსახველია. ალექსანდრე მსხალაძე აღნიშნავს, რომ „ოჰოი ნანა“ ნარმოშობით საქორნილო რიტუალის ნაწილი არ ყოფილა და ისიც განაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული.

ვალერიან ითონიშვილი საინტერესოდ აღწერს მთიულეთ-გუდამაყარში შესრულებულ საქორნილო რიტუალებს. მოხეური ჩვეულების მიხედვით, საქორნილო ნადიმის გახსნა „ხეური ჯორ ან-გელოზების“ დიდებით ანუ „დიდებით“ იწყებოდა. მოხეური ქორნილში, და საერთოდ ყველა სალხინო სუფრის დროს, სრულდებოდა ფერხულები. ერთსართულიან, წრიულსა და გრძელ ფერხულებს მამაკაცები და დედაკაცები მართავდნენ, ფერხულის მონაწილეები ირჩევდნენ „ფერხისას ზეზამდგომს“, რომელიც წრის შიგნით ლუდით სავსე სპილენძის

ქვას დადგამდა და მამაკაცებს ლუდით უმასპინძლებოდა. ამასთანავე ხალხს აცინებდა ე.წ. დათუა. დათვიად ნიშნავდნენ ერთ ენამოსწრებულ დედაკაცს, რომელიც მამაკაცის გადმობრუნებულ ტყაპუჭში იყო გამოწყობილი. აცეკვებდნენ ასევე ნეფე-დედოფალსაც და ყველა ერთვებოდა ტაშ-ფანდურაში. მოხეური ქორნილში საინტერესო იყო ის, რომ მოხევეები ქორნილის მეორე დღეს „პატიობა დღეს“ უწოდებდნენ და ნეფის დედას აიძულებდნენ რომ ეცეკვა. ის ძველ ტანსაცმელს იცვამდა, რადგან დედაკაცები და ახალგაზრდა ვაჟები მას ტანსაცმელს შემოახევენ. ამას მოხევეები იმით ხსნიდნენ, რომ ახალი სულის შემომატებასთან ერთად დედამთილს ძველი უნდა გადაეყარა. შემდეგ ეს წესი შეიცვალა და ნეფის დედას ტანსაცმელს კი აღარ უხევენ, არამედ ცეკვის დამთავრების შემდეგ იქვე იკავებდნენ, სანამ თავისი მახლობელი ახალგაზრდები სასმელ-საჭმლით არ გამოისყიდდნენ.

ხევსურეთში წესი იყო, რომ სოფელში ქალი ღამე უნდა მიეყვანათ. სოფელს მიახლოებული მყოლები ატეხავდნენ ყიჟინსა და თოფის სროლას. ბიჭები გზაში ცეცხლს დაანთებდნენ. ვისაც სოფლიდან წასვლა შეეძლო, ყველა შესახვედრად გარბოდა დოლითა და გარმონით, იმართებოდა დიდი მხიარულება, ცეკვითადაც. ხშირად ხდებოდა ისე, რომ ქალის „მეოლნი“ პატარძალს დამალავდნენ

და სხვა ქალს უჩვენებდნენ ასტყდებოდა სიცილ-ხარხარი. ზოგჯერ ხევსურეთში ქორნილის მეორე დღეს, ხალხის გამხიარულების მიზნით, იცოდნენ „მორთვა“. კაცები ჯიხვის ან დათვის ტყავით ირთვებოდნენ და ისე ცეკვავდნენ. ქალები ჩაიცვამდნენ კაცის ტანსაცმელს და ქამარ-ხანჯალს შემოირტყამდნენ, შემდეგ ხელის დაკვრით ნიშნობის სცენას ათამაშებდნენ, დანიშნულის ნათესავები ჩხუბს ატეხდნენ და ამას დიდი სიცილი და მხიარულება მოჰყვებოდა.

ჩვენთვის ცნობილია აფხაზური საქორნილო ფერხული „აი ბარკრა“, რომელიც აფხაზი ეთნოგრაფის ლაკერბაიას გადმოცემით შემდეგი შინაარსისაა: ფერხულის წრის შიგნით ნაბდის ქვეშ დგას ნეფე-დედოფალი. ფერხულის ერთ-ერთი მონაწილე კი მათარაბს ურტყამს მიწაზე დედოფლის ფეხებთან ისე, რომ იგი ადგილზე ახტუნოს და ამით გამოაცოცხლოს ცეკვა.

რაც შეეხება თბილისს. მის ძველ ყოფაში მოქმედი საქორნილო წესებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა კინტოებისა და ყარაჩოლელების ქორნილს. მათი გაცნობისას დამაინტერესა საქორნილო ცერემონიის დროს შესრულებულმა ტრადიციამ. იმ შემთხვევაში, თუ ნეფის მამა გარდაცვალებული იყო, საქორნილო ღმერთი მონაწილეები მის საფლავზე მიდიოდნენ და იქ „ნეფის ცეკვას“ ასრულებდნენ. მის შესახებ არსებობს ნახატი ვანო ხოჯაბეგოვის

შესრულებით, რომელიც გრიშაშვილმა „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემიაში“ წარმოგვიდგინა. სურათზე არის მამის საფლავზე მოცეკვავე ნეფე და ათი მოქიფე.

როგორც ხედავთ მცირედ, მაგრამ მაინც მოგვეპოვება საქორნილო რიტუალებში შემავალი ცეკვები, თუმცა ეს მხოლოდ თეორიული წყაროებია. ჩვენ არ გავაჩნია მასალები, რომლითაც შევისწავლით ამ ცეკვებს და აღვადგენთ მათ. დღეს კი ეს ნიმუშები თითქმის აღარ არსებობს და თუ არსებობს, არა როგორც ქორნილის შემავალი ერთ-ერთი რიტუალი, არამედ ცალკე სასცენო ნიმუში. თუმცა მსურდა დასკვნით ნაწილში მესაუბრა ქალ-ვაჟის ტრფობის უნიკალური ნიმუშის შესახებ, რომელიც დღესაც შემორჩა და რომელსაც არ გააჩნია კუთხურობის ნიშანი. ესაა ცეკვა „ქართული“. ავთანდილ თათარაძე მას ნიშნობებსა და ქორნილებსაც უკავშირებს და ამის შესახებ მაგალითებიც მოჰყავს. ფაქტია, რომ დღევანდელ დღეს ცეკვა „ქართული“ ქართული ტრადიციული ქორნილის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, იგი მართლაც იქცა რიტუალად, რომლის შესრულება სავალდებულოა. ცეკვა „ქართული“ იყო, არის და, ჩემი აზრით, ყოველთვის იქნება ჩვენი ერის კულტურის მშვენიერება და სიამაყე. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა სხვა ცეკვების მსგავსად არ დავკარგოთ ის და შევუნახოთ მომავალ თაობას იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს გვაქვს.

ქორეოგრაფიული კვლევა

დავისვამთ ქართული ხალხური სეკვების სინამდვილე და ვიზრუნოთ საბავშვო ქორეოგრაფიული რეპერტუარის შექმნაზე

ქართული საცეკვაო ფოლკლორის სინამდვილეს დაცვისათვის აუცილებელია შევინარჩუნოთ ქართული ცეკვის ის მდიდარი ტრადიციები, რაც ჩვენი ერის ზნის, ჩვეულებების კულტურის მიმანიშნებელია.

დოგმად უნდა იქნას მიღებული ის ტრადიცია, რაც ქართულ ცეკვებში ქალისა და მამაკაცის მალაღონებრივი ურთიერთდამოკიდებულებით გადმოიცემა.

როგორი განვითარების სტადიაშიც არ უნდა შევიდეს თანამედროვე თაობა, მას კონსერვატიული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქართული ეროვნული სამოსის მიმართ (ქართული – კაბა, ქართული – ჩოხა) არ უნდა დავუშვათ ცეკვათა აღრევა, არ უნდა გავზარდოთ უმიზნოდ, უმიზნოდ საცეკვაო ტემპი. უნდა გავუფრხთილდეთ იმ საუნჯეს, რაც ბრძენ ქართველ ხალხს, ანუ წინაპრებს უბოძებია ჩვენთვის, ქართული ცეკვა ხომ ეროვნულობის სრული გამოხატვა და ქართველთა სულის ყივილია!

დიდი სიფაქიზით უნდა მივუდგეთ იმ უძნელეს მისიას, პედაგოგობას, სხვათა განსწავლასა და დამოძღვრას, პატარებთან მუშაობა ხომ ყველაზე ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს! პედაგოგმა ისე უნდა აანყოს გაკვეთილის სქემა, მისი მსვლელობა, რომ პატარების ნორმა სხეულმა, მათმა ფიზიკურმა მონაცემებმა გაუძლოს 45, ან კიდევ 60 წუთიან დატვირთვას.

ასაკობრივი ზღვარის დაცვა ყოველთვის ყურადსაღებია აუცილებელი მოთხოვნა იყო განათლების სამინისტროს, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების, კულტურის სამინისტროს, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან, მას ყველა მეთოდცენტრი ყურადღებით აკვირდებოდა, ამ დირექტივების შეუსრულებლობას, მის უგულებელყოფას ყოველთვის მკაცრი ზომები მოჰყვებოდა ხოლმე, შესაბამისად, სასურველია, ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში დადგმული ცეკვები პასუხობდეს მათ ასაკს, ხოლო ასაკობრივი ზღვარი სასურველია იყოს ამგვარი: 6,7,8 წლის ბავშვები ერთად, 9,10,11 წლის ბავშვები ერთად, 12,13,14 წლის მოზარდები ერთად და ა.შ. რაც ხელს შეუწყობს ანსამბლის რეპერტუარის მკაცრად განსაზღვრას და რეპერტუარის შედგენას, ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით და მისი დაცვით. რაც შეეხება რეპერტუარს, ქართულ ქორეოგრაფიაში გვაქვს უამრავი მაგალითი, წარსულშიც მოღვაწეობდნენ ისეთი ქორეოგრაფები, რომელთა შემოქმედებით რეპერტუარში ვხვდებით საბავშვო სიუჟეტურ ცეკვებს, ეს პრობლემა არაა ახალი. მე თვითონაც, როგორც მოქმედი ქორეოგრაფი, ხშირად ვმდგარვარ ამ დილემის წინაშე, ცეკვა უსიუჟეტოდ წარმოუდგენელია და არც ექნება მას სრული სახე, მაგრამ

საქმე ეხება სრულიად სხვა პრობლემას, ანუ რეპერტუარის სიმწირეს, ან სულ არ არსებობას. ძნელია გაჭირვებული, დუხჭირი ცხოვრების დროს ყველაფერი გვერდზე გადადო და დაკავდე იმ პრობლემებით, რომელიც მოითხოვს დიდ დროს, ენერჯიას, როგორც ფიზიკურს, ასევე გონებრივს. ამის ფუფუნება კი თანამედროვე ქართულ ქორეოგრაფიაში მოღვაწე-მოაზროვნე სპეციალისტებს ნამდვილად არა აქვთ, ეს კი „კარგი“ ცხოვრების ბრალია. 22 წელია ეს სიამოვნება ჩემს და კიდევ სხვა თაობებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ნაკვეთია. რას ვიზამთ, როგორც ამბობენ, „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“, მაგრამ გჯერა, დადგება უამრავი კეთილდღეობისა, დალაგდება ცხოვრება, ყველა თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს. პედაგოგთა ანაზღაურებაც იქნებ საოცნებოდან, სასურველ ზღვრამდე მაინც მივიდეს, და როცა არ ექნება მოღვაწე მოაზროვნე ქორეოგრაფს ყოველდღიურ საზრუნავად ლუკმა-პურის შოვნა, მაშინ ეშველება ამ პრობლემას და ისინიც ხელედაკაპინებით შეუდგებიან ამ მძიმე და რთულ მისიას, რასაც საბავშვო რეპერტუარზე მუშაობა ჰქვია, ეს საქმეც სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს. კულტურის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითა კავშირმა, ფოლკლორის ცენტრმა, უნდა უზრუნველყონ იმ ინდივიდის ან ჯგუფის ინიციატივა და

გამოიყოს გრანტი, დოტაცია ამ საქმის სისრულეში მოყვანისათვის. სხვა შემთხვევაში ჩემი სუბიექტური აზრი ასეთია: ეს საქმე დარჩება საწყის მდგომარეობაში, რამეთუ ინტერესი ქმნის სხვადასხვა პროგრამების შექმნის იდეას.

ყველაფერი იწყება ნულიდან და შემდეგ ხდება ღირებული, ხოლო ღირებული რომ გახდეს, აუცილებელია ამ საქმის დაფინანსება, თანაც სოლიდურად.

დღესდღეობით ათეულობით ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ცეკვავს უმალეს დონეზე, ცეკვავენ თავდავიწყებით, უდიდესი სიყვარულით, რაც მათი ხელმძღვანელების დამსახურებაა და მადლობა მათ ამისათვის. ეს უდიდესი შრომის შედეგად მოიპოვეს, ხოლო რაც შეეხება საბავშვო რეპერტუარს, ის ყველას საფიქრი და საზრუნავია, რომელიც სახელმწიფოებრივი მზრუნველობისა და ყურადღების შემთხვევაში, აუცილებლად შეიქმნება, ჩამოყალიბდება და დამკვიდრდება საბავშვო ქორეოგრაფიაში.

დავიცვათ ქართული ხალხური ცეკვების სინამდვილე და ვიზრუნოთ საბავშვო ქორეოგრაფიული რეპერტუარის შექმნაზე!

იური ტორაძე
რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული ქორეოგრაფიის ამავდარი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი - განვლილი ორი წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის დღევანდელი შემადგენლობის არჩევისა და საქმიანობის ახალი ეტაპის დაწყებიდან ორ წელიწადზე ცოტა მეტი დრო გავიდა.

მკითხველი, ვისთვისაც კავშირის საქმიანობა მახლობელი და სისხლხორცეულია, უთუოდ, დაგვეთანხმება, რომ ორიოდ წელიწადი საკმაოდ ცოტა დროა „დიდთა საქმეთა საკეთებლად“, თუმცა როგორც იტყვიან, გააჩნია მოვლენას საიდან შეხედავ და როგორ შეაფასებ.

არჩევითი ორგანოს მუშაობის სისტემაში, რომელსაც კანონმდებლობა 5 წლიანი საქმიანობის რეგლამენტს უწესებს, ორი სრული წელიწადი შეიძლება ბევრიც კი იყოს საიმისოდ, რათა აშკარად და ნათლად გამოიკვეთოს მიმართულებები, პრიორიტეტები, მეთოდოლოგიური პოზიციები და ღირებულებითი ორიენტაციები.

წინასწარვე გვინდა ვთქვათ, რომ კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას აქვს გარკვეული პრეტენზია თუ ამბიცია განაცხადოს – გასული ორი წლის განმავლობაში ჩვენ ნამდვილად ბევრის გაკეთება მოვასწარით, თუმცა ამავდროულად შორსა ვართ აზრისაგან, რომ ყველაფერი, რაც გაკეთდა, იყო უნაკლო, უშეცდომო და სხვა ჩვენს ადგილზე ამდენს ვერ მოახერხებდა.

ახლა კი, როგორც იტყვიან, „პირველსავე სიტყვას მოვიდეთ“ და თანმიმდევრულად მივყვეთ იმის ჩამოთვლას, თუ რისი გაკეთება შეეძლებოდა.

მკითხველს ვთხოვთ ერთგვარი მოთმინების გრძობით აღიჭურვოს და მოგვიტევეს კიდევაც, იმდენად რამდენადაც მშრალი სტატისტიკური მონაცემებისათვის თვალის გადავინება სულაც არ არის საინტერესო პროცესი. სხვა გამოსავალი კი, უბრალოდ, არ არსებობს, რადგან სტატისტიკის უკან ტენდენციები ჩანს და უმთავრესი ჩვენთვის სწორედ ეს არის.

დავინყობთ ძირითადით — საიდან მოვდივართ და რა მეგობრულად მივიღეთ

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, ქვეყანაში არსებულ ანალოგიურ ორგანიზაციებს შორის, შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ინსტიტუციური სტრუქტურაა. მისი ისტორია 1990 წლიდან იწყება. იმ დროისათვის, მართალია, მთელს საბჭოთა სივრცეში უკვე ტრიალებდა ე.წ. „დემოკრატიული გარდაქმნების“

საერთო სურნელი, თუმცა ფაქტია ისიც, რომ შემოქმედებითი კავშირებს მაშინ სერიოზულად და პატივისცემით ეკიდებოდნენ.

ბუნებრივია, მიმართების ეს საერთო სულისკვეთება, საწყის ეტაპზე, ჩვენ კავშირსაც შეეხო, მაგრამ ეს პროცესი, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელდებულა და, შესაბამისად, მდგომარეობაც მალე შეიცვალა. განსაკუთრებით გართულდა სიტუაცია ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში, როდესაც ქვეყანაში შემოქმედებითი კავშირებისადმი თითქმის საყოველთაო სიძულვილის ატმოსფეროც კი დამკვიდრდა. ნათქვამის დასადასტურებლად ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაფუძნებული „მწერალთა კავშირი“ მიმართ განხორციელებული დევნა-ეგზეკუციის ფაქტები იკმარებდა.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირთან მიმართებაში ზემოაღნიშნულს დაემატა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები და ისე მოხდა, რომ მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, კავშირის დღევანდელ შემადგენლობას, როგორც იტყვიან, „ერთი თეთრის“ ექვივალენტი სიმდიდრეც არ რგებია. ყველაზე რთული, პრობლემათა ამ რიგიდან, მაინც სამუშაო ოფისის უქონლობა იყო და დღემდე ასე რჩება. ყრილობის ჩატარებისა და არჩევნების გამართვის შემდეგ ჩვენი მხარდაჭერების, კავშირის წევრებისა თუ გულშემოტიკიერების თანადგომით შევძელით და საკმაოდ კარგი სამუშაო ოფისი მოვანყვეთ საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის ბაზაზე, დავით აღმაშენებლის პროსპექტის №180 ნომერში. ამისათვის სათანადო ხარჯებიც გავიღეთ, მაგრამ ესეც დროებითი ღონისძიება აღმოჩნდა, რადგან დედაქალაქის მასშტაბით დაწყებულმა ე.წ. „ფასადების რეკონსტრუქციამ“ მოგვისწრო. ყველაფერი ამის საბოლოო შედეგი კი ის აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ინფრასტრუქტურასთან ერთად ჩვენი ოფისიც განადგურდა.

საბედნიეროდ, კავშირის ხელმძღვანელობის საერთო განწყობილებაზე, მათ ენთუზიაზმსა და მოწადინებაზე ყველაფერმა ამან უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ უკვე სხვა მისამართზე, კერძოდ ტეტელაშვილის ქ.№ 8-ში მოქმედი კულტურის ცენტრ „იმედის“ ბაზაზე ახალი, კეთილმოწყობილი ოფისი გავმართეთ და დღემდე აქ ვსაქმიანობთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ კავშირის ადმინ-

ისტრაციას არ შეუწყვეტია მუშაობა საკუთარი ჭერის მოპოვებისაკენ სწრაფვის მიმართულებით. ამ მიზნით ჩვენ შევხვდით შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს, მოვიპოვეთ საქართველოს პარლამენტის სათანადო კომიტეტების თანადგომა. როგორც იტყვიან, „კაცი იმედით ცოცხლობს“, პროცესები მიმდინარეობს და ვნახოთ რა გამოგვივა...

კავშირის სტრუქტურა

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სტრუქტურა, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით შედგება გამგეობის (მას სათავეში უდგას კავშირის აპარატი), რეგიონალური, სამხარეო და საქალაქო ორგანიზაციების და ცალკეული ფონდების ან კიდევ არასამთავრობო სექტორის რგოლებისაგან. ასეთებია; „ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო ფონდი“, „კავშირი – დევნილები მშვიდობისათვის“, „დამოუკიდებელ ურთიერთობათა კულტურის ცენტრი“, „საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ინსტიტუტი“.

ყველა ეს ორგანიზაცია ან კავშირის შემადგენელი ნაწილია, ან კიდევ სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, ასოცირების წესით თანამშრომლობს მასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან კავშირის ფუნქციონირებაში, მის ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს „ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო ფონდი“ (ხელმძღვანელი იური ტორაძე). ფონდს ჰქონდა და აქვს კარგად აწყობილი სტრუქტურა, გააჩნია სათანადო კონტაქტები და ღონისძიებათა გამართვის მდიდარი ტრადიცია. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში დადებითად მოქმედებს მთლიანად კავშირის საქმიანობაზე.

კავშირები და ურთიერთობები

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის განსაკუთრებულ მონაპოვარს საანგარიშო პერიოდის მანძილზე წარმოადგენს მის მიერ წამოწყებული საქმიანობა საერთაშორისო და შიდა ურთიერთობების მოწესრიგების, მათი კოორდინირების მიზნით.

ჩვენ უკვე შევძელით და მოვახერხეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაგვეფორმებინა მეზობელი სომხეთის მასშტაბით მო-

ქმედ ანალოგიურ სტრუქტურასთან. დაწყებულია მუშაობა, რომ ასეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდეს აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების შემოქმედებით კავშირებთან და სამხარეო ადმინისტრაციების კულტურის სამსახურებთან.

2013 წლიდან საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გახდა „ევროპის ფოლკლორის ფესტივლების ასოციაციის“ წევრი.

რაც შეეხება შიდა კავშირებს, უკვე გაფორმებულია სათანადო მემორანდუმი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან, ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, მზადდება დოკუმენტები მემორანდუმის გასაფორმებლად საქართველოში მოქმედ რამდენიმე საპროდიუსერო კომპანიასთან და სამხარეო ადმინისტრაციების კულტურის სამსახურებთან.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით წამოწყებული საქმიანობა სერიოზულ, პოზიტიურ შედეგებს მოიტანს.

კავშირის მუშაობის ძირითადი მიმართულებები

გამოცდილების ანალიზი ადასტურებს, რომ ნებისმიერი შემოქმედებითი კავშირის საქმიანობაში უმთავრესი და გადამწყვეტია რამდენიმე ფაქტორი. მათ შორისაა: შემოქმედებით-პრაქტიკული საქმიანობა (კონკურსები, ფესტივალები, დათვალიერებები, შეხვედრები...) ამას მოსდევს სამეცნიერო და მეთოდური, შემდეგ საგამომცემლო საქმიანობა, საერთაშორისო და შიდა კავშირების ორგანიზება და ა.შ. ცხადია, მუშაობის ეს მიმართულებები ერთმანეთისაგან იზოლირებული და მოწყვეტილი არ არის. პირიქით, ყველა მათგანი ერთი საერთო ქუდის ქვეშ, ერთი საერთო იდეის და გეგმის მიხედვით ხორციელდება. ახალს არაფერს ვიტყვით თუ აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის რაიმე მნიშვნელოვანი, თუნდაც ყველაზე საჭირო და ეროვნული დატვირთვის მქონე საქმიანობის წარმოება შეუძლებელია გარკვეული, ხშირად კი სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირისათვის აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფის წყარო არის საწევრო შემოსავლები, შემოსირულობები (რომელსაც არსებითად სიმბოლური ხასიათი აქვს) და ფესტივალების ორგანიზების გზით შემოსული თანხები.

8.3 სამსახროდ, ქართული რეალობიდან გამომდინარე, არც ერთი ამ სფეროთაგან იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ კავშირს უზრუნველი ცხოვრების გარანტია ჰქონდეს, მაგრამ მომჭირნობით იმდენი კი ხერხდება, რომ მუშაობის არც ერთი მიმართულება ხაზგასმულად ჩავარდნილი არ არის, ღირსეულთა დაჯილდოება-ნახა-ლისებასაც ვახდენთ და ჟამიდან ჟამზე მიზერულ ხელფასსაც ვუხდით აპარატის იმ ბირთვს, რომელიც კავშირის მუშაობის კოორდინაციას უზრუნველყოფს.

**ლონისძიებები,
შეხვედრები**

უკანასკნელი 2 წლის მანძილზე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თაოსნობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა. კერძოდ:

1. ჩატარდა გამგეობის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სხდომები, რომელზედაც მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეჯამდა ან კიდევ, პირიქით, დაიგეგმა მომავალი მუშაობის მიმართულებები;
2. ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს კავშირის ოფისში ეწყობა გამგეობის წევრთა და აპარატის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრები აქტივთან, რიგით წევრებთან და კავშირის მუშაობით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან;
3. განვილი პერიოდში სისტემურად იმართებოდა შეხვედრები კულტურისა და განათლების სამინისტროს ცალკეულ მუშაკებთან, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან;
4. გამგეობის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქალაქების მერიებთან და საკრებულოებთან, ასევე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან და მის ხელმძღვანელობასთან. სწორედ ამგვარი თანამშრომლობის შედეგად ქვეყნის თითქმის ყველა რაიონის მუნიციპალიტეტების გამგებლები და საკრებულოთა თავმჯდომარეები გახდნენ კავშირის საპატიო წევრები. მიღებულია პრინციპული თანხმობა, რომ ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ ჩვენთან და მონაწილეობას მიიღებენ, ან მხარს დაუჭერენ კავშირის ღონისძიებებს. საბედნიეროდ, ეს დაპირება ლიტონი სიტყვა არ არის და იგი პრაქტიკულად ხორციელდება.
5. ქ. თბილისის მასშტაბით მერიის კულტურის სამსახურისა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ქალაქის სხვადასხვა უბანში გაიკრა მემორიალური დაფები. ეს არის გამოჩენილ ქართველ ქო-

როგრაფთა შემოქმედებითი ცხოვრების ერთი პატარა, თუმცა მნიშვნელოვანი დადასტურება.

6. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირს საუკეთესო საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდული კულტურის ცენტრთან. სწორედ აღნიშნულ ცენტრში გაიმართა მრავალი საინტერესო შეხვედრა, რომელთა შორისაც უნდა დავასახელოთ გამოჩენილი ქორეოგრაფების ჯანო ბაგრატიონის და ბუხუტი დარახველიძის, ასევე სახელოვანი ქალბატონის, ქართული ცეკვის დიდოსტატის ლატავრა ფოჩიანის და გამოჩენილი მსახიობ-მოცეკვავის, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ყოფილი ხელმძღვანელის ქორეოგრაფ თამაზ ბუქანიძის ხსოვნის საღამოები.

უახლოეს ხანში ცენტრის ბაზაზე გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრები შუა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელ ქორეოგრაფებთან.

7. გავლილი პერიოდის მანძილზე შემოქმედებითი კავშირის მუშაობაში უდაო წარმატებად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა სახის წოდების, სიგელის, მედლებისა და ორდენების დაწესება, ასევე კონკურსის წესით ჩამოთვლილი ჯილდოებით ღირსეული კანდიდატების ღვაწლის აღნიშვნა. სწორედ ასეთი მიდგომის მაგალითად უნდა დასახელდეს ის ფაქტი, რომ 2011 წელს დიდი მოღვაწისა და ქორეოგრაფის **ჯანო ბაგრატიონის** პრემია გადაეცა მის მოსწავლესა და თანამოაზრეს ბატონ ანზორ კუპრაძეს. ეს უკანასკნელი დღესაც აქტიურად საქმიანობს ქალაქ გორში და ზრდის მოცეკვავეთა თაობებს.

ასევე დიდი შემოქმედისა და ქორეოგრაფის **გიორგი სალუქვაძის** პრემია გადაეცა ბატონ ჯუმბერ დუნდუას – ქ. ოზურგეთში მოღვაწე ქორეოგრაფს.

ანალოგიური პრემიები გაიცა 2012 წელსაც. კერძოდ, ფოთში მოღვაწე ცნობილი ქორეოგრაფის **შოთა ჩახავას სახელობის პრემია** გადაეცა ამავე ქალაქის მკვიდრს, გამოჩენილ პედაგოგ-ქორეოგრაფს ახმედ ამბალიას, ხოლო უდიდესი ქართველი მოცეკვავის **დავით უშვერიძის პრემია** მიანიჭა მთელს იმერეთში კარგად ცნობილ მოღვაწესა და ქორეოგრაფთა თაობების აღმზრდელს, ბატონ ავთანდილ ლომთაძეს.

კავშირმა გასცა აგრეთვე, საქართველოს გამოჩენილი ქორეოგრაფის **გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის სახელობის პრემია**, რომელიც თანამედროვე საბავშვო ქორეოგრაფიის ერთ-ერთ მეტრს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სა-

ბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელს ბატონ ჯემალ რეხვიაშვილს მიენიჭა.

უკანასკნელ წლებში დაწესდა და ღირსეულ კანდიდატებს მიენიჭათ **„წლის საუკეთესო ქორეოგრაფის“** (ტარიელ გოგობერიშვილი, მამუკა ცერცვაძე), ასევე **„წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფის“** (მარინა ფხაკაძე და მაკა ქაშაკაშვილი) პრემიები.

8. 2012-13 წლების მანძილზე 7 გამოჩენილმა ადამიანმა და ქორეოგრაფიული ხელოვნების მოამაგემ დაიმსახურა **„საქართველოს ქორეოგრაფიის ამადარის“** წოდება, შესაბამისი ორდენებით. 2012 წელს იგივე წოდება დაიმსახურა 4 პიროვნებამ, მათ შორის ერთმა მუსიკოს-შემსრულებელმარევაზ ნაჭყებამ.

9. 2012 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ დაწესდა **„ქორეოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალეების“ ორდენი**. მისი პირველი და ერთადერთი მფლობელი ჯერ-ჯერობით გახლავთ კავშირის თავმჯდომარე, ცნობილი ქორეოგრაფი, ქორეოლოგი, პროფესორი ლაუზი(რეზო) ჭანიშვილი.

10. 2012 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის წარდგინებით ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო **„ღირსების ორდენი“** მიიღო 5-მა ქორეოგრაფმა. მიმდინარე წელს ამავე ორდენის მოსაპოვებლად წარდგენილია 4 კანდიდატურა.

11. საანგარიშო პერიოდში ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა **„საბავშვო სანიმუშო სახალხო და ახალგაზრდული კოლექტივების“** გამოსავლენად და მათთვის შესაბამისი წოდების მისანიჭებლად.

დღეისათვის მათი რიცხვი უკვე ასეულს უახლოვდება. მიგვაჩნია, რომ ეს სერიოზული მნიშვნელობის მოვლენაა, რადგან: ა). იქმნება საუკეთესო ანსამბლების კოჰორტა, ერთგვარი „ბანკი“, რომელთა მესვეურები ამიერიდან თავს უფლებას ვეღარ მისცემენ იარონ უკუსვლის მიმართულებით, ან კიდევ გაუთვალისწინებელი სიტუაციების გამოკლებით, დაუშვან ანსამბლების საშემსრულებლო ღონის დაქვეითება.

ბ). ასეთ ანსამბლებს და მათ ხელმძღვანელებს უჩნდებათ მიმდევრები. უკვე ძალიან ბევრი ქორეოგრაფი ფიქრობს და შრომობს საიმისოდ, რომ დაიმკვიდროს ადგილი წინამავალთა შორის. კავშირი გვერდით უდგას ასეთ ანსამბლებს, მათ ხელმძღვანელებს და დიდად აფასებს თითოეულის მონოდიდებას.

12. კავშირისა და მისი რეგიონ-

ალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს ცალკეულ საქალაქო თუ რაიონულ ცენტრებში სისტემურად იგეგმება და იმართება კიდევაც ფესტივალ-კონცერტები. ჩვენთვის აღნიშნულ ღონისძიებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს მუდმივად ვაკონტროლოთ ანსამბლების საშემსრულებლო დონე. კმაყოფილების გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ მუშაობას სათანადო შედეგები მოსდევს. ნათქვამის პირდაპირ დადასტურებას წარმოადგენს მიმდინარე წლის 13-14 აპრილს საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში ჩატარებული ფესტივალი, რომელიც სპეციალისტთა საერთო აზრით აშკარად გამოირჩეოდა ანალოგიურ ღონისძიებებს შორის.

ნათქვამი, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ გამომსვლელთა შორის სუსტი კოლექტივები არ იყვნენ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო ნამდვილად „საჩვენებელი“, ნამდვილად „სახალხო“ და ნამდვილად მისაბაძი.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ხაზი გავუსვათ ერთ სამსახრო ფაქტს: საქართველოს მასშტაბით დღეს ბევრი ე.წ. პროვაიდერი ორგანიზაცია, საპროდიუსერო ჯგუფი თუ ცალკეული პირი საქმიანობს, რომლებიც ასევე ახდენენ ნაირ-ნაირი ფესტივალების ორგანიზებას, ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, თუმცა არც ერთი მათგანისათვის ანსამბლების და ცალკეული შემსრულებლების შემოქმედებითი დონე, ქართული ქორეოგრაფიის განვითარების პრობლემები თუ მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის ამოცანები, ყურადღების საგანს არ წარმოადგენს. მათ უფრო სხვა, „მოკრძალებული“ მიზნები ამოქმედებთ. ზემდგომი ინსტანციები, შემოქმედებითი ორგანიზაციები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები ჩვენი შემოქმედებითი კავშირის წინაშე სისტემატურად აყენებენ მოთხოვნას გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობები, რათა კანონიერების ფარგლებში მოექცეს აღნიშნული საქმიანობა და იგი დაექვემდებაროს სათანადო კოორდინაციას. ჩვენთვისაც ამგვარი მიდგომა პრინციპული მნიშვნელობის მქონეა, რადგან წოდება „საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი“ ბევრს გვავალებს და პასუხისმგებლობაც მეტი გვეკისრება. იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნულ სფეროში დასაქმებული პროდიუსერი კომპანიები და იურიდიული პირები გამოიჩენენ მეტ სახელმ-

ნიფობრივ მიდგომას, რომლის საფუძველზეც შეიქმნება ერთიანი სტრატეგიული ხედვა, კომპლექსური პროგრამა და განზრახულობათა ნუსხა. მასზე დაყრდნობით ქორეოგრაფიული კოლექტივები შეძლებენ ერთმანეთთან თანამშრომლობით წინ წასწინ ქართული ქორეოგრაფიული კულტურის განვითარების საქმე.

13. კავშირის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს პედაგოგ – ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი გადამზადებისა და სერთიფიცირების ამოცანები.

ეს მუშაობა ორ პოსტულატს ეყრდნობა. ესენია მეცნიერული კვლევა და მიღებული შედეგების მიხედვით ქორეოგრაფთა მომზადება-გადამზადების სემინარების დაგეგმვა.

სამწუხაროდ, ფართომასშტაბიანი სამეცნიერო კვლევის გაშლისათვის კავშირს შეზღუდული რესურსები გააჩნია და მის შევსებას ჩვენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ძალებთან, ასევე საქართველოს შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიის მიმართულებაზე თავმოყრილ და აქ აღზრდილ ახალგაზრდებთან მჭიდრო თანამშრომლობით ვცდილობთ. ამ თანამშრომ-

ლობის შედეგები მალე გამოჩნდება სპეციალური ლიტერატურის სახით, თუმცა მისი გარკვეული ნაწილი უკვე ჩანს ჩვენი საერთო გაზეთის „საქართველოს ქორეოგრაფია“ ფურცლებზეც.

უახლოესი მიზნები

ის, რაც გაკეთდა (ყველაფერი ვერც გავიხსენეთ, რადგან ყოველდღიური წვრილმანების აღრიცხვა არც არავის ძალუძს!), უკვე წარსულია. სახვალოდ კავშირს უკვე სხვა მიზნები, ამოცანები და გეგმები გააჩნია. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი იწყებს სერიოზულ პროექტს საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლების, განსაკუთრებით კი საჩვენებელი, სახალხო ნოდების მქონე კოლექტივების ბრენდირების პროცესს. შემუშავებულია სპეციალური დებულება, რომლის საფუძველზე ანსამბლებს მიენიჭებათ ვარსკვლავები 5-დან 10-ის ჩათვლით. პროექტი დასრულდება 2013 წლის ბოლომდე.

მოვიდა ზაფხული და იწყება საზაფხულო ფესტივალ – შეჯიბრებების, სემინარების ახალი სერია.

უახლოესი მაის-ივნისის მანძილზე ამგვარი ღონისძიებები გაიმ-

ართება იმერეთის, ქართლის, სამეგრელოსა და გურიის მასშტაბით. 18 მაისისათვის ქართულ საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლებს უმასპინძლებს „რაბათის“ კომპლექსი, ხულოს რაიონის კულტურის ცენტრი, ბათუმისა და ურეკის თეატრალური სცენები. 1-10 ივლისს ქალაქებში ბათუმი, ქობულეთი, ურეკი და ფოთი გაიმართება, საერთაშორისო ფესტივალი „კავკასია 2013“, მასში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები შორეული აფრიკიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიიდან, სომხეთიდან...

შემოდგომაზე გაიმართება „მრგვალი მაგიდა“ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში კავშირის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ფიქრის საგანს წარმოადგენდა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მსახურებაში ვალმოხდელ ვეტერანთათვის კუთვნილი პატივის მიგებისა და მათი ცხოვრებისეული პრობლემების, შეძლებისდაგვარად შემსუბუქების საკითხი.

„ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო ფონდის“ მონადინებით, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირთან არსებული მრჩეველთა საპატიო

საბჭოს (ხელმძღვანელი ფ. სულაბერიძე, წევრები: ო.მხეიძე, თ. უთმელიძე, უ. დვალისვილი, ა. ქართველიშვილი, ტ. გოგობერიშვილი, ჰ. კობეშვიძე, ჯ. რეხვიაშვილი, გ. ფოცხიშვილი...) თანადგომით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კავშირმა გავლილი პერიოდის მანძილზე მოახერხა ძალიან ბევრი ვეტერანისათვის გარკვეული ფინანსური დახმარების აღმოჩენა, მათ ასევე დაურიგდათ საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ.

ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება და ვეტერანი ქორეოგრაფების ღვაწლი კვლავაც მრავალგზის აღინიშნება.

მზადდება პროექტები, რომელთა საშუალებითაც ჩვენ შევძლებთ აღვადგინოთ განწყვეტილი კავშირები აფხაზ და ოს ქორეოგრაფებთან, იქმნება კატალოგები და იკრიბება ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საავტორო უფლებების მოთხოვნათა გათვალისწინებით ქართული ცეკვების კატალოგიზაციისა და სისტემატიზების პროცესს.

*საქართველოს ქორეოგრაფიის
მოღვაწეთა შემოქმედებითი
კავშირის ადმინისტრაცია*

ქორეოგრაფი უღონო ფასდა, მოხაკვავ - შესრულის ოსაზოხით

(ნიქმიმადლებული ხელოვნის ქორეოგრაფიული მოღვაწეობა)



„მსგავსად სხვა ადამიანებისა, მეც ჩემი ბავშვობიდან მოვიღივარ. მოსიყვარულე მშობლები მყავდა. დები, მალვინა და სვეტა, თავს მეველებოდნენ. მამაჩემი, ბონდო ჩაჩავა აბაშის რაიონის სოფელ აბაშისპირიდან ჩამოვიდა ბათუმში. აქ გაიცნო ახალგაზრდა ია თევზაძე და შეუღლდნენ კიდევ“. – ასეთნაირად გვაცნობს თავს ქართული ცეკვის ნიქმიმადლებული ხელოვანი **გიორგი ჩაჩავა**. მშობლებმა პატარა გოგის ცეკვა ბათუმის პიონერთა სახლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლში დააწყებინეს. ჯერ გივი ჩოგოვაძე ასწავლიდა, მერე კი გივი ჩიხლაძესთან განაგრძო ქორეოგრაფიული წვრთნა.

თავს არ ზოგავდა გივი ჩიხლაძე.

თანდათან აყალიბებდა ანსამბლის სახეს. 7-8 წლის გოგო-ბიჭები მონდომებით ეუფლებოდნენ ცეკვას. ყველას ერთად, ბავშვებს, მათ მშობლებს, პედაგოგ-აღმზრდებლებს სანუკვარი მიზანი ჰქონდათ საკუთრივ ისე, რომ ჩვენი ქალაქი ბათუმი, ერთ-ერთი უმშვენიერესი საბავშვო ანსამბლით გაეხარებინათ.

1960 წლიდან გივი ჩიხლაძემ გვერდით დაიყენა ახალგაზრდა ნიჭიერი ქორეოგრაფი ზაურ ლაზიშვილი. რამდენიმე თვეში საინტერესოდ შეიკრა ცეკვები: „ფერხული-ფარცა“, „დავლური ქართული“, რასაც კარგად მოერგო ბავშვთა ნყვილი ზურაბ ძიძიგური და რუსუდან დარჩია. არც სხვა ცეკვებში ჩამორჩებოდნენ ნორჩი მოცეკვავეები. მათგან გამოირჩეოდა მოხეური ვაჟთა ცეკვა, რომელსაც საუკეთესოდ ასახიერებდნენ გოგი ჩაჩავა, ოთარ მიქელაძე, მიშა ქვარიანი, შალვა ბაზიაშვილი და ველიზარ კობრავა. უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებდა „მხედრული“, „სამაია“, „ძველი თბილისის სურათები“, „ლელო“, „ფარიკაობა“ და სხვა.

საცეკვაო ჩაცმულობაც შევნოდათ მერცხალა მოცეკვავეებს, ამიტომაც ანსამბლს „მერცხალი“ ერქვა.

„მართლაც გაზაფხულის მონატრებასავით შემოვიდა „მერცხალი“ აჭარის საცეკვაო ხელოვნებაში. აქ ჩამოყვალბდი, გამოვიზარდე და ფრთები შევისხი“ – სიამაყით ამბობს გოგი ჩაჩავა და იხსენებს თავის მეგობრებს, რომელთა სცენირებამ წარუშლელი

კვალი დატოვა აჭარის საბავშვო ქორეოგრაფიის ისტორიაში.

ანსამბლ „მერცხალის“ გამოსვლები დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს, როგორც აჭარის, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სსრკ-ს სხვადასხვა ქვეყნებში. აცნობდნენ თავიანთ ნიჭიერებას ხელოვნების მოყვარულებს, რაც მქუხარე ტაშითა და ოვაციებით აღინიშნებოდა.

განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს გოგი ჩაჩავასა და მანანა გვანცელაძის ცეკვა „ყაზბეგური“. ტანმორჩილი გოგი ჩაჩავა ლალი მოძრაობით ჩამოუვლიდა. გოგოსთან მიახლოებისას მოელვარე ჩაკვრა-ხლართულით, ბრუნვითა და მუხლჩატყვით გულიანი მოხევის ხასიათს აფერადებდა. არ შეიძლება დავივიწყოთ მისი ტემპერამენტით სავსე, საფინალო მუხლი-ილეთი ცეკვა „მხედრული“ თანატოლ ველიზარ კობრავასთან ერთად. აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი მათ მიერ შესრულებულ ცეკვა „ფარიკაობას“:

1964 წლის მაისში, დედაქალაქ თბილისში ანსამბლმა „მერცხალმა“ ღირსეულად დაიმსახურა მაყურებლის მონივნება. ოლიმპიადაზე შესრულებულ იქნა ცეკვები: „განდაგანა“, „მთიულური“, „ფარიკაობა“, „მოხეური“, „ვაჟთა ცეკვა“. დიდი სიხარულით იგონებს გოგი ამ დღეებს, სადაც განსაკუთრებული გარდასახვით დაამახსოვრა თავი თბილისელ მოცეკვავეებს და ცნობილ ქორეოგრაფებს. მაშინ ანსამბლმა ე.წ.

„არტეკის“ საგზური დაიმსახურა.

იმავე წელს არტეკში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლმა „მერცხალმა“ გამარჯვება მოიპოვა. პატარა მერცხლების ოსტატობამ ინდოეთის პრემიერს გააოცა. გოგი ჩაჩავას მიერ გასაოცარი ოსტატობით შესრულებული ცეკვები იქაც გამოირჩეოდა.

გოგი ქ. ბათუმის N2 საშუალო სკოლაში სწავლობდა. სკოლას ძლიერი მხატვრული თვითშემოქმედება ჰქონდა. გუნდს სათავეში ცნობილი ლოტბარი სოკრატ (სოსო) მიქელთაძე და ქორეოგრაფი გივი ჩიხლაძე ედგა სათავეში. ცეკვების დადგმა ძირითადად ზაურ ლაზიშვილის მოვალეობა იყო. საოლიმპიადო გამოსვლებში „მერცხალის“ რეპერტუარში, ქართული ცეკვების გარდა, სპორტული და ბავშვთა თამაშების სახასიათო ცეკვებიც შედიოდა. ცეკვა „მწყემსურში“ გოგი ჩაჩავა ჩვეული ინდივიდუალობით ნაბადმოსხმული, გულადი მთიელის ხასიათს ასურათებდა. კარგად გამოსდიოდა ესპანური და ზანგური ცეკვებიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხოვრება, დროის ფერისცვალება ადამიანებს მოთხოვნებს უყენებს. ვერც გოგი ჩაჩავა აულიდა გვერდს ამ შემოქმედებით რეალობას. მით უფრო, რომ სიჭაბუკის ხანაც დაუდგა. გული იქით მიუწევდა, სადაც მეტი გასაქანი ექნებოდა. ასეთად ანსამბლი „სალალობო“ ესახებოდა (სამხატვ-

რო ხელმძღვანელი გაიოზ გოგიბერიძე. ქორეოგრაფები ენვერ ხაბაძე და ზაურ ლაზიშვილი. ლოტბარი მიშა კილაძე).

შინაარსიანი და ახლებურად გააზრებული ცეკვები დაიდგა „სალალობოში“. შთამბეჭდავად გამოვიდნენ აჭარის საოლქო ოლიმპიადზე. დამსახურებულიადაც მოიპოვეს საკავშირო ფესტივალის ლაურეატის ნოდება და ოქროს მედალი.

გოგი ჩაჩავას შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან საყურადღებოა 1968 წლის ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი, მასთან ერთად საკონკურსო ცეკვა „ხორუმი“ გოგი ჩაჩავას, ველიზარ კობრაძეს და თემურ გოგიტიძის შესრულებით, სადაც ვერცხლის მედლები და მეორე ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს. არც ისე ადვილი იყო ამ ჯილდოს მოპოვება, რადგან კონკურსში მონაწილეობდნენ, ქართული ცეკვის სახელოვანი ოსტატები: ფრიდონ სულაბერიძე ჯემალ ნავროზაშვილი, ჯუმბერ ბერიძე, რეზო ჭანიშვილი.

გოგი იმავე წელიწადს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაირიცხა. იმავდროულად ინსტიტუტის ანსამბლ „გორდას“ მოცეკვავე მსახიობი გახდა, რომლის ხელმძღვანელი ამოცდილი ქორეოგრაფი ბესარიონ (ბესიკ) სვანიძე იყო. ინსტიტუტში ქორეოგრაფიის განხრით ლექციებს კითხულობდა ქართული ცეკვის ცნობილი თეორეტიკოსი, მკვლევარი ავთანდილ თათარაძე.

გოგი ჩაჩავა ანსამბლ „გორდას“ საუკეთესო მოცეკვავედ ითვლებოდა. პროფესიონალური ოსტატობით იზიდავდა ცეკვის მოყვარულებს. ამის ერთ-ერთი ფაქტორია ქართული ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსი, რომელიც 1972 წელს გაიმართა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახელით გოგი ჩაჩავა და მისი მენეჯილე ნანა ანდრიაშვილი გამოვიდა. თამამად უნდა ითქვას, რომ მათ მიერ შესრულებული ცეკვა „ყაზბეგური“ უწყომანოდ მიიჩნეს პირველთა შორის. ცეკვაში მთელი სისრულით გამოიხატა ვაჟაყაცობის, გულსუფთა ტრფილის მჩქეფარე ეპიზოდები. მოხვეური სატრფილო ცეკვის ორივე შემსრულებელს ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი გადასცა დიდმა ილიკო სუხიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ გოგი ჩაჩავას „ყაზბეგურს“ ბათუმური ძარღვი და ხიბლი ახლდა. აქ მოხეურ-მთიულური ცეკვების შემსრულებლები ცოტანი როდი იყვნენ! ამავეს ვიტყვით თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სხივოსან შემსრულებლებზე, რომელთაგან სახელდებიან ბუჟან სურმაჯა, თამაზ მოსია, თემურ ხოზაშვილი, ზაურ პაპიაშვილი, ნანა ანდრიაშვილი და ნაზი გოზიტაშვილი.

ზემოთ აღვნიშნეთ გოგი ჩაჩავას გული იქით მიუწევდა, სადაც მეტი გასაქანი ექნებოდა, ერთ-ერთ ასეთად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ანუ „სუხიშვილები“ მიიჩნეოდა. სურვილს მოულოდნელობამ გადააჭარბა. იგი მიწვეულ იქნა დიდი ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობად. შინაგანმა სწრაფვამ შედეგიც გამოიღო, მალე აუბა მხარი აღიარებულ პროფესიონალებს, როგორებიც იყვნენ ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე,

ჯუმბერ ბერიძე, თამაზ კიკალიშვილი, ასლან კაბისოვი, დათო ბასილაშვილი, ჯეირან გოგონავა, ომარ ხუბავეი, ჯემალ სამხარაული, ჯანო ჯანიშვილი და სხვები.

„სუხიშვილების“ საამაყო ანსამბლში გოგი ჩაჩავას შემსრულებლობა უფრო და უფრო იხვეწებოდა. საზღვარგარეთელი მაყურებლის ოვაციებს მისი საცეკვაო არტისტიზმიც იმსახურებდა. ახარებდა ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლები. იტყოდა კიდევაც: „ყველა კონცერტის შემდეგ ვამაყობდი, რომ ქართველი ვარ... არცერთ ქვეყანას ჩვენისთანა ცეკვა არ გააჩნია. ქართული ცეკვები მშობლიურ ენასავით მეტყველია“.

ნიჭმოამდლებული მოცეკვავე – მსახიობი ქორეოგრაფიული ნიჭიერებითაც გამოირჩეოდა. იგი პარალელურად თბილისის 39-ე სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ქორეოგრაფად მიიწვიეს. ანსამბლს გამოცდილი ქორეოგრაფი თამაზ გოგოტიშვილი ხელმძღვანელობდა.

გოგი ჩაჩავამ მთავარ ქორეოგრაფთან



ერთად საინტერესო ცეკვები დადგა. დახვეწა გოგონების საცეკვაო ნაწილები. ვაჟების პარტიებს მეტი გამომზატველობა შემატა, რითაც სტიმული მიეცა სასკოლო ანსამბლის გამოსვლებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შუახანებიდან გოგი ჩაჩავა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავს, ამავდროულად აკადემიური ანსამბლის რეპეტიტორიცაა. ამ ანსამბლშიც სამაგალითო ინდივიდუალიზმით იქცევს ყურადღებას.

ცნობილია, რომ იმხანად ბათუმს ესტუმრა ჯემალ ჭყუასელისა და რეზო ჭოხონელიძის პროფესიონალური კოლექტივი. ერთობ გაიხარა ბათუმელმა მაყურებელმა, როცა სხვა მალად პროფესიონალებთან ერთად გოგი ჩაჩავას საცეკვაო ფიერვერკი იხილეს.

უნდა ითქვას, რომ სახელოვან რეზო ჭოხონელიძესთან სასარგებლო გამოცდილება და ცოდნა შეიძინა. ამაში ხელს უწყობდა სპეციალური ქორეოგრაფიული განათლება. ამიტომაც მიიწვიეს თბილისის მოდელის რესპუბლიკურ ცენტრში, სადაც ჩამოაყალიბა სრულიად ახალი საბავშვო ანსამბლი „ჩვენი შვილები“. სულ ორ წელიწადში ორ განყოფილებიანი საცეკვაო პროგრამა მოამზადა. თავდაპირველად დედაქალაქს გააცნო მოცეკვავე „შვილების“ ხელოვნება. სხვაგანაც გაისიგრძეგანეს თავიანთი შესაძლებლობები.

1994 წელს „ჩვენი შვილებმა“ ილიკო

სუხიშვილის პრიზი მოიპოვა.

1996 წელს, მაისში მოსკოვს ესტუმრნენ. საუცხოოდ იასპარეზეს ბავშვთა საერთაშორისო პირველ ფესტივალ-კონკურსზე, სადაც ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრანპრი“ და ლაურეატის ნოდება დაიმსახურეს.

საბავშვო ანსამბლმა მოიარა ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, ბულგარეთი, ამერიკის შეერთებული შტატები. ყველგან დატოვეს სცენარების „კვალი განახლებული“.

რამდენიმე წელია გოგი ჩაჩავამ საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში გადაინაცვლა. მოცეკვავეთა მომდევნო ნაკადსაც „ჩვენი შვილები“ დაარქვა.

მართლაც, საინტერესო სახელია. ერთგვარი გააზრებაა, რომ გულთან მივიტანოთ ჩვენი ბავშვების საცეკვაო ხელოვნების ხვალისდელი დღე... დაკვირვებული, ქართველობით ნაქები ქორეოგრაფი ეყრდნობა ხალხურობის, ეროვნულობის ნიშან-თვისებებს. კომპოზიციებში შეაქვს ქართული სულით

შესატყვისი საბალეტო მოძრაობანი, დათვურ სამსახურს უწევს ქართულ ხალხურ ცეკვას.

პატრიოტული სულისკვეთების ქორეოგრაფი საცესებით ობიექტურად ავიტარებს ქართული ცეკვის თვალსაჩინო მოღვაწეთა შეხედულებებს, კრიტიკულ შენიშვნებს. თავის დროზე ყველას გასაგებად წერდა ლილი გვარამაძე: „მიშველი ტექნიკის“ თვითმიზნურად გამოყენებას მხოლოდ ეროვნული პლასტიკის დეფორმაციამდე, პოეტური სკოლისა და შინაარსის ნიველირებამდე მივყავართ. ამგვარ ტექნიკასა და ფორმალურ ნოვაციებზე აგებული ცეკვები მიუღებელი ხდება, რადგანაც გვეკარგება ლირიზმი. ჰეროიკა განუმეორებელი პლასტიკა, რითაც ასე ცნობილია ჩვენი ცეკვები (ლილი გვარამაძე. „ქართული საცეკვაო ფოლკლორი“ გვ. 181).

აუცილებლად გასათვალისწინებელია გოგი ჩაჩავას წინადადება, რომ ვიმოქმედოთ შეგონებით „მოყვარეს პირში უძრახე“ ე. ი. უნდა მოვალონიეროთ ქორეოგრაფიული კრიტიკა, ვთქვათ სასიკეთო მოვლენებზე, მაგრამ უარყოფით ფაქტებსაც ნუ მოვუხუჭავთ თვალს. იგი ვერ ეგუება უხეირო პომპეზურობას, მოჩვენებითობას. მას უყვარს გულსუფთა საუბარი, სხვისი ნიჭიერების დამფასებელიცაა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგი ჩაჩავა უყვარს ხელოვნების მოღვაწეებს, მეტადრე ბათუმელებს.

2011 წელს, აპრილში, დაბადების 60 წელი აღნიშნა ჩვენს ქალაქში (დაიბადა 1951 წ.). უამრავი საზოგადოება ესწრებოდა მის საიუბილეო საღამოს. აქ იყვნენ ანსამბლი „მერცხალის“ ყოფილი მოცეკვავეები, კულტურის, ხელოვნების მოღვაწენი, განათლების მუშაკები. ფარდა რომ აიხადა, უმაღლე გოგი ჩაჩავა შემოიჭრა. უხვად მოაფრქვია მისი ბავშვობის დროინდელი „ყაზბეგური“-ს ილეთები. მერე კი „სუხიშვილებისეზურად“ ცოცხლად გარდაისახა, რასაც მოჰყვა ალტაცება და ოვაციები. იქვე მისი ყოფილი პედაგოგ-ქორეოგრაფი ზაურ ლაზიშვილი გამოვიდა სცენაზე და ასე თქვა: „მე დღეს სულმნათი გივი ჩიხლაძის სახელითაც ვსაუბრობ, რომელმაც ბევრი რამ შესძინა გოგი ჩაჩავას. რა თქმა უნდა, ჩემი მოკრძალებული წვლილიცაა მის ქორეოგრაფიულ აღმავლობაში. მეამაყება, რომ გოგი ჩაჩავა ეროვნული ქორეოგრაფიის ღირსეული მოღვაწეა. უდაოდ, მისაბაძად განვლო ქორეოგრაფიული შემოქმედების რთული და საპასუხისმგებლო გზა.“

მართლაც ასეა: გოგი ჩაჩავას შემოქმედებითი მოღვაწეობა თვალწარმტაცი სცენირება, პედაგოგიური, შემოქმედებითი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის ნოდება. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გოგი ჩაჩავა სულთა და გულით ნაღდი ქართველია. მისი საფიცარია სამშობლოს ყველა კუთხე. უყვარს ცეკვა და სიმღერაც.

გულის სიღრმეში ჩაუფენია დღეგრძელების, მარადიულობის გაუნელებელი გრძნობა.

„ჩვენ ვართ და ვიქნებით მანამდე, სანამ საქართველოში ცეკვავენ და მღერიან ქართველები!“

ისრაფილ ღიასამიძე
ხელოვნების დამსახურებული
მუშაკი, მკვლევარი ქორეოგრაფი

სულიდან ამოსული ხელოვნება



დიდმა ქართველმა გრიგოლ რობაქიძემ ბრძანა „ქართულ ცეკვას ქართველის მსგავსად ვერაფერ იცეკვებს, რასა არ ეყოფაო“. ბედნიერია ერი, რომელიც ასეთი საცეკვაო ფოლკლორის პატრონია, მაგრამ ორგანიზაციის ბედნიერია ის ქართველი, ვინც ამ საოცარი ცეკვების ერთგულ მსახურებაში თავად იხარჯება – ცეკვავს!

არაერთი ანსამბლი ცდილობდა და დღესაც ცდილობს ქართული ცეკვა მსოფლიო ასპარეზზე გაიტანოს, მაგრამ ამ საქმეში ერთ-ერთი პიონერი მაინც სუბივილების ნაციონალური ბალეტია. ამ ანსამბლმა თავის დროზე შეძლო და მსოფლიო ქართული საცეკვაო ფოლკლორით აღაფრთოვანა. მასსოვს თბილისში ასეთი ხმებიც კი დადიოდა, ქალბატონი ნინო რამიშვილი ლამაზ გოგო -ბიჭებს ქალაქის ქუჩებში ეძებს და თავის ანსამბლში იწვევს. ალბათ, დიდ ქალბატონს გააზრებული ჰქონდა ის, რომ ანსამბლი უცხო ქვეყნებში მის სამშობლოს წარადგენდა და, საოცარი ცეკვების გარდა, საჭირო იყო მსოფლიოსთვის ეჩვენებინა ქართველთა შინაგანი და გარეგნული სილამაზე.

დღევანდელი ჩემი წერილი მინდა მიუძღვნა ამ ანსამბლის ერთ – ერთ გამორჩეულ წევრს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს **ნუგზარ ჯიქურს**. ბატონი ნუგზარისათვის გასული წელი საიუბილეო იყო – მას 60 წელი შეუსრულდა.

ნუგზარ ჯიქური 1952 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ქართალში დაიბადა. სკოლა ფასანაურში დაამთავრა. პირველად ცეკვაზეც ფასანაურში – ლალი ვართაულთან მიუყვანიათ. სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახმა გადაწყვიტა, რომ შვილს თბილისში ეკონომიკის ფაკულტეტზე უნდა ჩაებარებინა. სწორედ ამ მისიით იგი დედაქალაქისაკენ გამოამგზავრეს.. ბატონი ნუგზარი იხსენებს, რომ ფასანაურიდან მომავალს გზაში თანასოფელი ბიჭი დაემგზავრა, რომელთან ერთადაც ცეკვის წრეზე დადიოდა. მეგობარს გადაწყვეტილი ჰქონია სერგო ზაქარაიძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებ-

ელში ჩაბარება და ბატონი ნუგზარიც ძნელად, მაგრამ მაინც დაუყოლიებია აღნიშნულ სასწავლებელში ბედი მასაც ეცადა. 1970 წლის ზაფხულში იგი მისაღებ გამოცდებზე წარსდგა, სადაც მიმღები კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: ავთანდილ თათარაძე, ანტონ ჩიხლაძე, გივი ლაცაბიძე, ჯანო ბაგრატიონი და კონსტანტინე მანჯგალაძე. საერთოდ, ბატონი ნუგზარი საკმაოდ თვითკრიტიკული ადამიანია და დღესაც ვერ მალავს გაოცებას იმის გამო, რომ ქართულ ცეკვაში მისაღებ გამოცდაზე 5 ქულა მიიღო. თვლის, რომ ცეკვით ნამდვილად არ გამოირჩეოდა და კომისიამ იგი გარეგნული მონაცემებით შეარჩია.

სასწავლებელში ჩაბარებიდან სამ თვეში კი ჯარში გაიწვიეს, სადაც ორი წელი იმსახურა. იქედან დაბრუნებულს ცეკვისათვის თავის დანებება ჰქონია გადაწყვეტილი, რადგან, ორწლიანი პაუზის შემდეგ, ჯარიდან წონაში საკმაოდ მომატებული დაბრუნდა და ცეკვითაც ჩამორჩებოდა თავის ჯგუფელებს. ამ გადაწყვეტილების შეცვლა მას კონსტანტინე მანჯგალაძემ აიძულა. მან პირადად მოჰკიდა ხელი შევირდს და შეუდგა მუშაობას. ბატონი ნუგზარი იხსენებს, რომ მუშაობის პროცესში იგი არაერთხელ ჩავარდნილა უიმედობაში. ყველა ასეთი სიტუაციიდან მის გამოყვანას კი კონო მასწავლებელი ჯიუტად ცდილობდა და ახერხებდა კიდევ. ხანგრძლივი რეპეტიციების შემდეგ, 1974 წელს, ბატონმა კონსტანტინემ სტუდენტთა ჯგუფი წარადგინა ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე, სადაც შეასრულეს ცეკვა „ქართული“ (ნუგზარ ჯიქური და ეთერ რეხვიამვილი), „მოხეური“ (ამირან არჩუაძე, ნუგზარ ჯიქური და ეთერ რეხვიამვილი) და „განდაგანა“ (ნუგზარ ჯიქური და იზა შათირიშვილი). კონკურსზე ცეკვა „ქართულმა“ პირველი ადგილი დაიკავა, „ყაზბეგურმა“ – მეორე და „განდაგანამ“ – მესამე.

ბატონი ნუგზარი დღესაც დარწმუნებულია, რომ არა კონო მასწავლებლის დაჟინებული მოთხოვნა და დაუზარელი შრომა, იგი ცეკვას დიდი ხნის წინ ჩამო-

შორდებოდა. მაგრამ პედაგოგი არ კმაყოფილდებოდა მიღწეული წარმატებით. მისი მიზანი იყო ნუგზარ ჯიქური სუბივილების სახელგანთქმულ ანსამბლამდე მიეყვანა. სწორედ ზემოთაღნიშნულ კონკურსზე შეამჩნია ილიკო სუბივილიმა ცეკვა „ქართულის „ახალგაზრდა შემსრულებელი, მივიდა მასთან, გამოელაპარაკა და ანსამბლში რეპეტიციაზე დაიბარა. ეს იმ დროს უზომოდ დიდი სიხარული და გამარჯვება იყო პედაგოგისთვისაც და მოსწავლისთვისაც.

1975 წლის 16 იანვარს ბატონი ნუგზარი ანსამბლის წევრად მიიღეს. იგი დღესაც დიდი მონივნებით იგონებს ბატონ ილიკოსთან და ქალბატონ ნინოსთან შეხვედრას და ამ შეხვედრის გამო დღემდე ბედის მადლიერია. მან ანსამბლში 23 წელი გაატარა, გამოვიდა მსოფლიოს უდიდეს სცენებზე. განსაკუთრებული ემოციით იხსენებს 1976 წლის მოგზაურობას საბერძნეთში, სადაც იგი პირველად წარსდგა მსოფლიოს წინაშე როგორც ცეკვა „ქართულის“ შემსრულებელი, პარტნიორობას კი უკვე ცნობილი ქართველი მოცეკვავე ლატავრა ფოჩიანი უწევდა.

23 წლის მანძილზე ნუგზარ ჯიქური ანსამბლში წამყვან პარტიას ასრულებდა ცეკვა „ქართულში“ რუსუდან ჭრიკიშვილთან ერთად. ბატონი ნუგზარი ყოველთვის გამოირჩეოდა შესრულების დინჯი არისტოკრატიული მანერით. ქალბატონი რუსუდანი დღესაც აღფრთოვანებით საუბრობს თავის მენყვილეზე და ამბობს, რომ იგი საოცრად კომფორტული და სასიამოვნო პარტნიორი იყო ცეკვის დროს, ყველანაირად ცდილობდა ქალის როლის ღირსეულად წარმოჩენას, რითიც კიდევ უფრო ხაზს უსვამდა თავის ვაჟკაცურ ბუნებას.. ამასთან ასეთივე დიდი სიბოთი ახასიათებს მას, როგორც მეგობარს: თბილს და გულისხმიერს.

გარდა ცეკვა „ქართულისა“, ნუგზარ ჯიქური წარმატებით ცეკვავდა წამყვან პარტიებს შემდეგ ცეკვებში: „ყაზბეგური“, „განდაგანა“, „ხონგა“, „ხანჯლური“, „ხევსურული“, სადაც პარტნიორობას უწევდნენ მანანა აბაზაძე, რუსუდანი ჭრიკიშვილი, ნელი ხაჭოშია, თამარიკო ელიოზიშვილი და სხვანი. დამეთანხმებით შესრულებული ცეკვების ჩამონათვალი მეტად მრავალფეროვანია, ეს კი თავად მოცეკვავის მრავალმხრივ ნიჭზე მიუთითებს.

ანსამბლში მრავალწლიანი წარმატებული კარიერის შემდეგ ბატონმა ნუგზარმა პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მან რკინიგზელთა კულტურის სახლში ჩამოაყალიბა ანსამბლი „თერგი“, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. დაუღალავად შრომობს მეუღლესთან – ეთერ რეხვიამვილთან ერთად. მათ არაერთი კონკურსის ლაურეატი აღზარდეს. მათი აღსაზრდელები დღესაც აგრძელებენ მოღვაწეობას სხვადასხვა სახელმწიფო ანსამბლებში. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ადვილად არ მოდის და ამ წარმატებაში ბატონი ნუგზარისა და ქალბატონი ეთერის უდიდესი შრომა დევს.

1998-2004 წლებში ნუგზარ ჯიქური ასევე პედაგოგად მიიწვიეს სერგო ზაქარაიძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე, ხოლო 2003 წლიდან იგი ჯერ კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების ასოცირებული პროფესორია.

ბატონი ნუგზარის პიროვნულ თვისებებზე ბევრის თქმა შეიძლება. იგი ნამდვილი ხელოვანია, მასში შემოქმედებითი სული ბუდობს. პირადად მე უკანასკნელი ათწლეულია თვალს ვადევნებ უნივერსიტეტში მის მოღვაწეობას და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ იგი სტუდენტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო და მისაბაძი ადამიანია.. ხშირად მინახავს სტუდენტთა აღფრთოვანებული თვალები, მაშინ, როდესაც ბატონი ნუგზარი მათ ამა თუ იმ ილეთს უხსნის და შემდეგ მას ჩვეული ოსტატობითა და მანერით ასრულებს. როგორც გარეგნულად, ისე შინაგანი თვისებებითაც იგი ნამდვილი მთის შვილია. თავმდაბალი, დინჯი და აუღელვებელი. არ უყვარს თავის გამოჩენა, რის გამოც კოლეგებისგან ხშირად საყვედურსაც კი იღებს.

ძნელია ერთ წერილში ჩაატო ყველა ის საინტერესო მოვლენა თუ ამბავი, რითაც ასე მდიდარია ბატონი ნუგზარის მიერ გავლილი ცხოვრების გზა. ის რომ იგი დიდი მოცეკვავეა, რომელმაც თავისი კვალი დატოვა ქართულ სცენაზე, ცხადზე ცხადია! პროფესიული სიდიდის გარდა, ის არის ადამიანი, რომელთან მუშაობაც და უბრალოდ ურთიერთობაც ძალზედ სასიამოვნოა. დასასრულს, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ბატონი კონსტანტინე მანჯგალაძის ამბავს. ალბათ, ნამდვილი ბედნიერებაა, როცა ცხოვრების გზის დასაწყისშივე ბედი ასეთ ღირსეულ და გულისხმიერ პედაგოგს შეგახვედრებს. ბატონი ნუგზარი დღემდე მადლიერია კონო მასწავლებლის. რომ არა მისი უდიდესი სურვილი და მიზნისკენ სწრაფვა, ქართულ სცენას მოაკლდებოდა ერთი მეტად გამორჩეული შემსრულებელი, გარეგნული და შინაგანი მომხიბლელობით დაჯილდოებული მოცეკვავე – ნუგზარ ჯიქური. იგი არის პატიოსნებით სავსე კაცი, ულამაზესი ოჯახის პატრონი და მე მას ჯანის სიმრთელეს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ!

თამარ მუხჯიშვილი
საქართველოს შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

P.S. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობა და გამგეობა სრულიად იზიარებს ახალგაზრდა მკვლევარ-პედაგოგის ქ-ნ თამარ მუხჯიშვილის წერილის პათოსს. უერთდება მილოცვას და ბატონ ნუგზარ ჯიქურს უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლეს, წარმატებებსა და ხელოვანი ადამიანისათვის ესოდენ სასურველ შემოქმედებით მიღწევებს.

აღდგომა - დღესასწაული დღესასწაულია

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამორგუნველი, და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“ (აღდგომის ტროპარი).

ეს ძველი საგალობელი ეკლესიას თვით მოციქულებმა უბოძეს. სახარებასთან ერთად მას სანუკვარ სინმიდესავით ინახავდა ყველა ქრისტიანული საძმო, ქრისტიანთა დევნის ჟამს იგი ძღვევის ჰიმნივით ჟღერდა რომის კატაკომბებსა თუ იუდეის გამოქვაბულებში. აღდგომის ღამეს ქრისტეს აღდგომის სიხარული სულიერი ნათლის ტალღებად იღვრება ყოველი მართლმადიდებლური ტაძრიდან და წყვდიადში ჩაფლულ ღამეს სიხარულით სავსე, ბედნიერ დღედ აქცევს.

ქრისტე აღსდგა! – ამ სიტყვებში, ვით მისტიკურ ცენტრში, იკვეთება ძველი აღთქმის ყველა რადიუსი, მისი წინასწარმეტყველებანი, სახეები და აღთქმანი.

ქრისტე აღსდგა! – ამ სიტყვების სიღრმიდან, ვით ნათლის უფსკრულიდან, მთელ სამყაროს ეფინება სხივები. მათში ჩადებულია აუხსნელი მიმზიდველი ძალა – თითქოს თვით ქრისტე ეხება ჩვენს გულებსო. მკუდრეთით აღმდგარი ქრისტეს საქადაგებლად მოციქულები სიხარულით ხვდებოდნენ წამებასა და სიკვდილს.

სოკრატე, რომელსაც ზოგიერთი თეოსოფოსი-ეზოთერიკოსი ქრისტეს ადარებს, მომაკვდინებელი შხამით სავსე სასმისს რომ ცლიდა, თავისი მსაჯულების სიძულვილით იყო აღსავსე. მას ის აზრი ანუგეშებდა, რომ ისინიც სიკვდილმისჯილი იყვნენ, ოღონდ არა ათენის არეობაგის, არამედ თვით ბუნების მიერ, რომ სიკვდილი გარდაუვალია. ქრისტეს მოციქულები კი წამების დროს ისე ლოცულობდნენ თავიანთი ჯალათებისთვის, როგორც დედა – თავისი შვილისთვის. მათ იცოდნენ, რომ სიკვდილი არ არსებობს და მათ ქრისტესთან შეხვედრა ელოდათ.

ქრისტე მაცხოვრის ჯვარცმა და აღდგომა კაცობრიობისა და მთელი კოსმოსის ისტორიის უმთავრესი მოვლენაა. ქრისტეს აღდგომა არის ჩვენი უკვდავების დამტკიცება და მკვდრების მომავალი აღდგინების პირველსახე, ახალი სიცოცხლის დასაბამი და კაცობრიობის ორ ტირანზე – ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება.

ძველად ქრისტეს ჯვარცმის დღესაც პასექს უწოდებდნენ. ეს იყო ჯვარცმის პასექი. მას მოჰყვებოდა აღდგომის პასექი. აღდგომა ქრისტიანულ დღესასწაულთა გულისგულია. მის ირგვლივ განლაგებულია ყველა დანარჩენი დღესასწაული, ვით მზის დისკოს გარშემო – სხივთა ოქროს შარავანდედი.

ადამიანი არის ღმრთაებრივი სილამაზის ნიმუში და სულიერ ეონში

სხეული კოსმოსის ყველა ელემენტს შეიცავს, ხოლო სული – სულიერი ნათლის სხივი, ზეცის ნაწილი, ღმრთის ბაგეთა იღუმალის სუნთქვაა. ადამიანი, როგორც სულიერი და ფიზიკური არსება, ორ სამყაროს მიეკუთვნება. ის უნდა გამხდარიყო შემაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და კოსმოსს შორის, რათა მასში და მისი შემკვობით მომხდარიყო მატერიის განსულიერება.

ცოდვამ დაარღვია სამყაროს ჰარმონია და ადამიანი ღმერთს მოსწყვიტა. გაჩნდა ხრწნა და სიკვდილი. – ისინი სამყაროს თანდაყოლილი თვისებები ანდა სიცოცხლის ბნელი ორეულები კი არ არიან, არამედ უზურპატორების, ტირანების შემოიჭრნენ სიცოცხლეში და დამკვიდრდნენ. სიკვდილი არის ავადმყოფობა, სენი, რომელიც კიბოს სიმსივნესავით მოედო მთელ სამყაროს. კაცობრიობის ისტორია სისხლის მენამული საღებავითა და ცოდვის შავი მელნით დაწერილ ტრაგედიად იქცა. ღმრთისგან სულიერად მოწყვეტილი ადამიანი დასაღუბადა განწირული, ისევე, როგორც ღეროს მოწყვეტილი ყვავილი იქცევა მტვრად და ფერფლად. კაცობრიობამ ღმერთი დაკარგა. ადამიანები ეძებდნენ ხსნას – ხან ფილოსოფიას მიმართავდნენ, ხან წარმართულ მისტერიებს, თავყანს სცემდნენ ქვის ქანდაკებებს, მაგრამ ხსნა არსად იყო. კაცობრიობის სიკვდილის ტყვეობისგან გამოსხნა შეეძლო მხოლოდ იმგვარ მსხვერპლს, რომელიც თავისი აქსიოლოგიური მნიშვნელობით (ღირსების ხარისხით) მთელ სამყაროს გადაამეტებდა. ეს მსხვერპლი თავისი ბუნებით იმგვარივე უნდა ყოფილიყო, ვისთვისაც იწირებოდა. სწორედ ასეთი შესანიშნავი მიიტანა ქრისტემ უფლის სამსხვერპლობე: ის იყო ღმერთი და, მაშასადამე, იგი მოიცავდა მთელ სამყაროს; მეორე მხრივ, ის იყო სრულყოფილი ადამიანი, – თავისი თავით შეცვალა ადამიანი ისევე, როგორც მეგობარი უცვლის სიკვდილმისჯილს ტანსაცმელს და მის ნაცვლად ადის ეშაფოტზე. უცოდველმა მიიღო კაცობრიობის ყველა ცოდვის შედეგი და სატანჯველი. ქრისტეს ღმრთაებრივმა ღირსებამ მისი მსხვერპლი უსაზღვროდ და უკიდევანოდ, უნივერსალურად აქცია.

ქრისტეს ჯვარცმითა და აღდგომით დათრგუნა სულიერი სიკვდილი. ქრისტემ ადამიანი თავისი თავით შეცვალა და მეტაფიზიკური წყვდიადიდან ღმრთაებრივი ლოგოსის ნათელში გამოიყვანა. მან გვიჩვენა გადარჩენის გზა, მთელი თავისი ცხოვრებით მოგვცა სიყვარულის მაგალითი. ქრისტემ დააარსა ეკლესია თავისი საიდუმლოებითა და ღმრთისმსახურებით, რომელთა შემკვობით ქრისტეს აღდგომა წარსულიდან აწმყოდ იქცევა. ადამიანს მიეცა

საშუალება, ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით ქრისტეს აღდგომის სიხარული განიცადოს, საბოლოოდ კი – სული გადაირჩინოს.

ქრისტემ დათრგუნა მშვიდნიერი სიკვდილი, ცოდვის მეუფება. ზოგიერთები იტყვიან: სამყარო ხომ გაიძვერობამ და სიცრუემ, უსამართლობამ და სისასტიკემ წაღვეა, მაშ, როგორღა მოსპო ქრისტემ მშვიდნიერი სიკვდილი? რატომ ცეცხლით არ ამოწვავს ბოროტებას და ცოდვას, კაცობრიობის ამ ავთვისებთან სიმსივნეს, – ამის მთქმელს ავიწყდება, რომ მაშინ თვითონ ჩვენც უნდა გავქრეთ და დავიფერფლოთ, რადგან ბევრჯერ გვიღალატია ქრისტესთვის, გადავცდენილვართ იმ საზღვარს, საიდანაც წყვდიადის, ცოდვისა და ბოროტების სამყარო იწყება. ღმერთის მოთმინება ჩვენი საერთო გადარჩენაა. უფალმა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დაძლევის საშუალებები გვიბოძა. ამ ბრძოლაში ყალიბდება ადამიანი, როგორც ზნეობრივად თავისუფალი პიროვნება. უფალმა დროებით დაუშვა ბოროტება, მაგრამ ის სიკეთის სამსახურში ჩააყენა. მხოლოდ საშინელ სამსჯავროზე მოხდება ნათლისა და ბნელის, სიკეთისა და ბოროტების სრული განყოფა, დიფერენციაცია.

ქრისტემ დათრგუნა ხორციელი სიკვდილი, – ეს კიდევ უფრო გაუგებარია ზოგიერთი ადამიანისთვის. სიკვდილის შავბნელი სურათები ხომ ყოველი მხრიდან გვარტყია გარს. კვდებიან ჩვენი ახლობლები. სიკვდილი დედას შვილს აცლის ხელიდან, – კლდეებსაც კი ღრღნის თავისი ფოლადის კბილებით. ყოველი ქალაქის თუ სოფლის მახლობლად იზრდება მეორე ქალაქი – სასაფლაო, მკვდრების უტყვი ქალაქი. მაშ, როგორღა სძლია უფალმა სიკვდილს? – მან აღვითქვა მარადიული სიცოცხლე, მაგრამ ეს ამქვეყნიური არსებობის გაგრძელებას კი არ ნიშნავს, არამედ – სახეცვლილებას. ამქვეყნიური უკვდავება ბიბლიის მიერ აღთქმული უკვდავების კარიკატურა იქნებოდა მხოლოდ, დაახლოებით სვიფტის ნახატის მსგავსი: უკვდავების ნიშნით აღბეჭდილი ხელებაცხცახებულები და კისერმოფამფალებული მიხრწილი მოხუცები საშინელი შურით აღვსილან იმათ მიმართ, ვინც უკვე საფლავში წევს და ამაოდ უხმობენ სიკვდილს.

უკვდავება ამ – ქვეყნი – ეური არსებობის გაგრძელება რომ იყოს, მაშინ ყველანი ერთ ტაფაში მოვიხრაკებოდით – უბინოებიც და



გარყვნილებიც, ქრისტიანებიც და დემონის თაყვანისმცემლებიც. ნერონი, კალიგულა და თემურ ლენგი განაგრძობდნენ თავიანთ საქმეებს, ადამიანები დაიტანჯებოდნენ ავადმყოფისა და ვნებებისაგან. ამგვარი უკვდავება კაცობრიობისთვის არანაკლები წყევლა იქნებოდა, ვიდრე თვით სიკვდილი.

ქრისტემ დათრგუნა სიკვდილი, რადგან ბნელისა და ქაოსის უფსკრულიდან იგი სხვა, უფრო მაღალ არსებობაში გადასასვლელ ხიდად იქცა. იოანე ოქროპირი წერს: ვერცხლის თასი რომ დაზიანდება, ოსტატი ცეცხლში აგდება, ადნობს, შემდეგ კი მისგან ახალ თასს ამზადებს. ამგვარადვე, ადამიანი გაივლის სიკვდილის ქურაში, რომელიც მის სხეულსა და სულში ცოდვით დაცემათა ნაკვალევს ამოწვავს, შემდეგ კი ღმერთი აღადგენს მას ახალ სიცოცხლეში თავისივე, ოღონდ უკვე განახლებული, სხვაგვარი თვისებების მქონე, სულის მსგავსი სხეულით. იბადება კითხვა: სული ხომ უკვდავია, საოცველთაო აღდგომის დროს რაღა საჭიროა ხორცის აღდგინება? – საქმე ისაა, რომ ადამიანი, ღმრთის მსგავსია არა მხოლოდ სულით, არამედ სხეულთან შეერთებული სულით, მონადით. მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის სხეული ქრისტე მაცხოვრის სხეულის მსგავსი იქნება. სხეული ადამიანის – კოსმოსის წარმომადგენლის ღირსებაა და მის ინდივიდუალობას გამოხატავს. ძველი ფილოსოფოსები ადამიანს მიკროკოსმოსს უწოდებდნენ.

ზოგიერთს უკვირს: თუკი სამყაროს სახეცვლილება ადამიანის სახეცვლილებასა და აღდგომაზეა დამოკიდებული, მაშ, რაღა შექმნა უფალმა რამდენიმე მილიარდი სამყარო, რომლებსაც ვერასოდეს იხილავს ადამიანი, თანაც, სამეფო ადგილი კი არ მიგვიჩინა სამყაროს ცენტრში, არამედ მის ერთ

აა13 კუთხეში დაგვასახლა? – ჯერ ერთი, დედამინა სამყაროს სულიერი ცენტრია, რამეთუ ქრისტე გარდამოვიდა აქ და ხორცი შეისხა. მაგრამ ეს ასეც რომ არ იყოს, გოლგოთის მსხვერპლის მნიშვნელობა მაინც არ დაკნინდებოდა, რადგან სწორედ დედამინაზე ეცვა ჯვარს ქრისტე და დათრგუნა სიკვდილი, აქ გადაწყდა მთელი კოსმოსის ბედი.

ადამიანთა აღდგომა არის არა მინიერი ცხოვრების გამეორება, არა რენამაცია, არამედ სხვაგვარ არსებობაში გადასვლა. სხეული შეიძენს ახალ თვისებებს – აღარ იქნება დროისა და სივრცის მონა. ადამიანი ერთიანი სულიერი ჭვრეტით იხილავს ღმრთის ნათლით სახეცვლილ სამყაროს, ვითარცა ღმრთის მიერ შექმნილ საკვირველ სურათს. ძველი ფილოსოფოსები ტყუილად როდი უწოდებდნენ სამყაროს კოსმოსს. კოსმოსი ნიშნავს არა მარტო წესრიგს, არამედ შემოკობა-

სა და მორთვასაც. ადამიანი იხილავს კოსმოსს, როგორც თავის საკუთრებას. იგი გადაიშლება მის წინაშე, როგორც კი აიხდება ფარდა – სიკვდილის, დროისა და ხრწნის მეუფება. სივრცე აღარ იქნება დამაბრკოლებელი ადა-



მიანის სხეულისთვის, ისევე, როგორც ახლა არ წარმოადგენს დაბრკოლებას

მისი აზრისთვის. ადამიანი იხილავს კოსმოსს, როგორც განძს, რომელიც მამამ დაუმალა შვილს და მხოლოდ სრულწლოვანების ასაკში მისცა.

საყოველთაო აღდგომის დროს ერთმანეთს შეხვდებიან ახლობლები, ვინც ამქვეყნად სიყვარულით იყვნენ დაკავშირებული, იმედი განხორციელდება, რწმენა იქცევა ღმრთის ჭვრეტად, სიყვარული კი დარჩება მარად. აღარ იქნება განშორება და სიკვდილი, დროც კი გაქრება.

ცათა სასუფეველი ღმრთაებრივი ნათლის მეუფებაა. მარადიული სიცოცხლე არის მარადიული მიახლოება ღმერთთან. ადამიანი თავისი ბუნებით ადამიანად დარჩება, თავის პიროვნულობას არ დაკარგავს და, იმავდროულად, ღმრთის მსგავსი გახდება; ათანასე დიდის სიტყვით, „მადლისმიერი ღმერთი“ იქნება. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: „ცეცხლში ჩაგდებული მახვილი ცეცხლის თვისებებს იძენს – არა

მარტო ჭრის, არამედ წვავს კიდეც“. მარადისობაში მუდამ ახალია ყველაფერი, იცვლება ადამიანი – ქრისტე-მაცხოვარს ემსგავსება, სულიწმიდის მოქმედებით იცვლება სამყარო. პეტრე მოციქული წერს ქრისტიანთა მიმართ: „მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა“. როგორ ამობრწყინდება ცისკრის ვარსკვლავი ადამიანის გულში, ეს საიდუმლოა და მხოლოდ მარადისობაში შევიტყობთ.

აღდგომის დღეებში ჩვენ ერთმანეთს მივმართავთ – „ქრისტე აღსდგა!“!

ამ სიტყვებში ჩადებულია ჩვენი რწმენის ნათელი, ჩვენი სასოების სიხარული, ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე, და ამ სიტყვების პასუხად ეკლესია ღალადებს: „ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!“

რაფაელ კარელინი


განცხადება

1 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით, ზათუმში, ქობულეთში, ყრეკსა და ფოთში ჩატარდება საერთაშორისო ფესტივალი „კავკასია 2013“.

მონაწილეობის მსუხველეები დაგვიკავშირდით

ტელ: 235 48 41

განცხადება



2013 წლის 18 მაისს ჩატარდება ფესტივალი სახელწოდებით „ზაბათის ტაძრული“. საქართველოს ქორეოგრაფიის ძეგლად შექმნილი კავშირი გთხოვთ საქართველოში მოქმედ ქორეოგრაფებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიებაში.

განხილვა

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ატარებს კონკურსს ქვემოთ ჩამოთვლილ პრემიებსა და ნომინაციებში:



1. დავით ჯავრიშვილის სახელობის პრემია;
2. ლილი გვარამაძის სახელობის პრემია;
3. ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის პრემია;
4. წლის საუკეთესო ქორეოგრაფი;
5. წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფი;
6. წლის საუკეთესო რეპეტიტორ-ქორეოგრაფი.

მოხდება პირადი განცხადების საფუძველზე ან სამოტივაციო ჟგუფის მიერ. განაცხადი და შესაბამისი მასალები (CV, ანსამბლის საქმიანობის მოკლე ისტორია, გამოცემული ლიტერატურის მოკლე ჩამონათვალი და ეგზემპლარი (თუ ეს შესაძლებელია და ხელმისაწვდომია) და სხვა მსგავსი მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას კავშირის ოფისში.

მის: ტეტელაშვილის ქ. N8 არაუგვიანეს 2013 წლის 31 მაისისა.

პრემიის მსურველებს პირობების შესახებ დამატეკონკურსში მონაწილეობითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ კავშირის ოფისში.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბესიკ სვანიძის გარდაცვალების გამო

აპ.2



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი № 6/9 01/04/ 2013 წ.

“სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის”
წოდების მინიჭების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის:

1. მიენიჭოს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „შევარდენი“ (ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი სიმონ (თემურ) ჩხაიძე) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
2. მიენიჭოს თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „არმაზი“ (ქორეოგრაფები: ალექსანდრე წერეთელი და თორნიკე წერეთელი) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
3. მიენიჭოს ქუთაისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „გორდა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი: გიორგი ჭუმბურიძე, ქორეოგრაფი-ქეთევან ჭიქაბერიძე) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
4. მიენიჭოს ქ. მცხეთის კულტურის სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „იბერიონი“ (ქორეოგრაფები: ბესო ტურიაშვილი და ირაკლი ნიკოლაიშვილი) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
5. მიენიჭოს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ცისკარი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი: მალხაზ ცისკარიძე) „სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
6. მიენიჭოს თბილისის N107-ე საჯარო სკოლასთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ერთობა“ (ქორეოგრაფები: გენადი ცისკარიშვილი და ინგა ცანდიშვილი) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
7. მიენიჭოს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კავკასიონი“ (ქორეოგრაფი: ანგული ქვეთარაძე) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
8. მიენიჭოს ჩოხატაურის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ილეკრო“ (სამხატვრო ხელმძღვანელი: ემზარ სანიკიძე) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
9. მიენიჭოს ტყიბულის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ცხრა ჯვარი“ (ქორეოგრაფები: ზურაბ ჭანკვეტაძე და ნიკოლოზ წიწილაშვილი) „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.

კავშირის თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი № 12 01/04/ 2013 წ.

ქ. თბილისის #142 საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს
„კოლხეთი“ სათვის ლ. (რ) ჭანიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. მიენიჭოს #142 თბილისის საჯარო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კოლხეთი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი იური ტორაძე) „საქართველოს დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ლაუზი (რეზო) ჭანიშვილის“ სახელი.

კავშირის თავმჯდომარის მოადგილე - /ო.ალავიძე/



ბატონ თენგიზ უთმელიძის ძალისხმევით გამოიცა უნიკალური ნიგნი სახელწოდებით „სუხიშვილები – რომანტიკული ფოტომატიანე“. ეს უნიკალური გამოცემა სცილდება ავტორის მიერ განსაზღვრულ ჟანრს, რადგან იგი ნიმუშია ხელოვნებისა და აღსავსეა შემოქმედებითი გზებით, განუმეორებელი არტისტიზმით და ცხოვრებისეული ეპიზოდებით, რომელნიც თითქოს წარმოსახულ, ოცნების სამყაროში გვაბრუნებენ.



ანსამბლი „კლდეკარი“ – ჩამოყალიბებისა და საქმიანობის ძირითადი ეტაპები

ანსამბლი „კლდეკარი“ ქორეოგრაფიულ ჯგუფს ცუცქერიძის ხელმძღვანელობით 1996 წელს ჩამოყალიბდა. მისი დებიუტი იმავე წელს შედგა რესპუბლიკურ ფესტივალში „ოქროს მარტვი“ და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა, დაჯილდოვდა დიპლომით.

1997 წელს ანსამბლი რუმინეთში გაემგზავრა, სადაც წარმატება მოიპოვა. პირველი საგასტროლო მოგზაურობა მედიით გაშუქდა. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ანსამბლი წარმატებით გამოდის დედაქალაქის სხვადასხვა კულტურის ცენტრებში გამართულ კონცერტებზე.

1998 წელს ანსამბლი გაემგზავრა პოლონეთში, საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მოიპოვა გრან-პრი,

„ჰარმონია“ აჯილდოვდა ანსამბლს დიპლომით საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. აგრეთვე აჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით ანსამბლ „კლდეკარს“ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის მიერ ჟინვალში ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობისათვის.

2003 წელს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი აჯილდოვდა ანსამბლ „კლდეკარს“ რესპუბლიკურ ფესტივალში მონაწილეობისათვის ლაურეატის წოდებით.

2004 წელს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ანიჭებს ლაურეატის წოდებას ანსამბლ „კლდეკარს“ რესპუბლიკურ ფესტივალში მონაწილეობისათვის.



რომელიც გაშუქდა I არხის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში და გამოქვეყნდა პრესაში.

1998 წელს ჩატარდა I რესპუბლიკური კონკურსი ინდივიდუალურ ცეკვებში, რომელიც ჩაატარა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა და ანსამბლ „კლდეკარი“-ს მოცეკვავეებმა – ქეთი ჭყუასელმა და ჯაბა სადუნიშვილმა მიიღეს ქართულ ცეკვაში I ადგილის I ხარისხის დიპლომები და მედლები.

1999 წელს ინდივიდუალურ ცეკვების მეორე რესპუბლიკურ კონკურსში, რომელიც ჩაატარა ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა და ანსამბლი „კლდეკარი“ წარსდგა 5 ნომრით და ხუთივე ნომერში გაიმარჯვა და მიიღეს I-II და III ხარისხის დიპლომები და მედლები.

2000 წელს ანსამბლი გაემგზავრა თურქეთში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, საიდანაც წარმატებით დაბრუნდა.

2001 წელს ანსამბლი გაემგზავრა ბულგარეთის რესპუბლიკის ქ. ბურგასში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, სადაც წარმატებით გამოვიდა და დაჯილდოვდა ლაურეატის წოდებით.

2002 წელს ახალგაზრდა მომღერალთა მუსიკალური ასოციაცია

2005 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ქ. წყალტუბოში ჩატარებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ფესტივალში და დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით.

2006 წელს ანსამბლ „კლდეკარს“ მონაწილეობა აქვს მიღებული ბაკურიანსა და სიღნაღში ჩატარებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ფესტივალში, რომელიც ჩაატარა საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო ფონდმა. ანსამბლი დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით. ამავე წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ინდივიდუალური ცეკვების შემსრულებელთა კონკურსში და დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით ცეკვა „სამაიას“ მალალ დონეზე შესრულებისათვის.

2007 წელს ანსამბლმა „კლდეკარმა“ მონაწილეობა მიიღო წყალტუბოში ჩატარებულ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების რესპუბლიკურ ფესტივალში და დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით. აგრეთვე მიიღო მონაწილეობა ინდივიდუალურ ცეკვების შემსრულებელთა კონკურსში ცეკვა „სამაია“-ს და ცეკვა „ქრთულში“, სადაც მონაწილენი დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომებით.

ანსამბლ „კლდეკარს“ სხვადასხვა დროს მიენიჭა „საბავშვო სანიმუშო სახალხო“ ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდება. იგი საშემსრულებლო ოსტატობისათვის დაჯილდოვებულია მადლიერების დიპლომით.

ანსამბლი „კლდეკარი“ ფუნქციონირებს ქ. თბილისის მე-14 საჯარო სკოლის ბაზაზე. (ხელმძღვანელი ჯუმბერ ცუცქერიძე).

პირადი ჯილდოები

- საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი აჯილდოვებს დიპლომით ქართულ ქორეოგრაფიაში დებიუტისათვის.
- საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის მიერ ჯუმბერ ცუცქერიძე დაჯილდოვებულია ქართული ხალხური ცეკვების ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების შემოქმედებით შეხვედრა-კონცერტში მონაწილეობისათვის.
- დახილდოვებულია კავშირის მიერ ქართული ცეკვის ინდივიდუალური შემსრულებელთა I და II რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვების დიპლომებით. I ხარისხის დიპლომებით 2-ჯერ, II ხარისხის – 2-ჯერ და III ხარისხის – 2-ჯერ.



- დაჯილდოვებულია I ხარისხის დიპლომით და ლაურეატის წოდებით განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსში წარმატებით გამოსვლისათვის.
- საქართველოს განათლების სამინისტროს ესტეტიკური აღზრდის რესპუბლიკური ცენტრის მიერ საპატიო დიპლომით საშობაო კონცერტში მონაწილეობისათვის.
- 2011-12 წლებში ჯუმბერ ცუცქერიძე დაჯილდოვდა ქორეოგრაფიული ხელოვნების ამაგდარის წოდებით და მადლიერების სიგელით.

ბიოგრაფიული მონაცემები

მე, ჯუმბერ ლევანის ძე ცუცქერიძე დავიბადე ჭიათურის რაიონის სოფ. სვერში 1969 წლის 5 მარტს, მოსამსახურის ოჯახში.

1975 წელს შევედი სოფ.სვერის საშუალო სკოლაში, რომლის 8 კლასიც დავამთავრე 1984 წელს. ამავე წელს სწავლა გავაგრძელე ჭიათურის №20 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1987 წელს. ამავე წელს გამიწვიეს სამხედრო სამსახურში.

1990 წელს მუშაობა დაიწყო სოფ. ქვაციხის კულტურის სახლში ქორეოგრაფად, პარალელურად ვსწავლობდი სახალხო უნივერსიტეტში ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1994 წელს.

1996 წელს დავინიშნე ქ. თბილისის მე-13 საშუალო სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში.

2000 წელს პარალელურად დავინიშნე საქართველოს ქორეოგრაფიულ კავშირში მეთოდისტ-ინსპექტორად. ამასთან, ვმუშაობდი კახეთის მხარის ვეტერან ქორეოგრაფთა კოორდინატორად.

2005 წელს დავინიშნე ქ. თბილისის მე-14 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელად. პარალელურად დავინიშნე საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მეთოდისტ-ინსპექტორად.

ამჟამად ვმუშაობ ქ. თბილისის მე-14 საჯარო სკოლაში ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელად. პარალელურად ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირში ვასრულებ კოორდინატორის მოვალეობას

მყავს მუშა და ორი შვილი.
მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, III მ/რ, VI კორპ. ბინა №22
ტელ: 263-60-57; 599 14 34 83

| | | | |
|---|---|---|--|
| <p>საქართველოს ქორეოგრაფია</p> <p>მის: თბილისი, ბ. ტატილაშვილის ქ. №8</p> | <p>სარედაქციო საბჭო:</p> <p>რეზო ჭანიშვილი, ოლეგ ალავიძე, რევაზ ბალანჩივაძე, უჩა დვალისვილი, ზაურ ლაზიშვილი, ნინო მდევაძე, ბესიკ სვანიძე, თენგიზ უთმელიძე.</p> | <p>საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.</p> | <p>რედაქტორი: რუსუდან კანჭოშვილი</p> <p>ტელ.: 235 48 41 558 19 00 14</p> <p>Facebook – საქართველოს ქორეოგრაფია www.qor.org.ge</p> |
|---|---|---|--|